645/1989/2

# საქართველოს ქალი

12
1989
ISSN 0321-1509



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურბენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ჟვანია, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

ყდის პირველ გვერდზე — გიული აბულაძე;
მეოთხეზე — მოდა.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

# გარდაქმნის განახლების გზით

17—18 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესია.

რესპუბლიკის ტელევიზიამ მოაწყო პირდაპირი ტრანსლიაცია სხდომათა დარბაზიდან, რამაც უფრო გააძლიერა სესიის მონაწილეთა პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე, ნათლად წარმოაჩინა თვითოეული დეპუტატის რაობა.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. ა. ჭითანავა. მან სესიის განსახილველად შეიტანა ო. ე. ჩერქეზიას განცხადება პირადი თხოვნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სესიამ დააკმაყოფილა ო. ე. ჩერქეზიას თხოვნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სახელით ნ. ა. ჭითანავამ შეიტანა წინადადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დეპუტატ გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე გივი გუმბარიძე ერთხმად იქნა არჩეული.

სესიამ მოისმინა გ. გ. გუმბარიძის ღრმაშინაარსიანი სიტყვა, რომელშიც სათანადოდ იყო შეფასებული ჩვენი ცხოვრების ყველა მოვლენა, მოცემული იყო მომავლის პერსპექტივები.

მან აღნიშნა: „სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტები უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტებია. მათ მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყარონ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განვითარებას, გააღრმაონ რესპუბლიკაში დემოკრატიზაციისა და საჯაროობის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესები“.

სესიაზე აღინიშნა, რომ 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევა — საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას — ინტერვენციას და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით.

დეპუტატებმა მოიწონეს 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებული გარემოებების შემსწავლელი კომისიის დასკვნა. მათ საჭიროდ მიიჩნიეს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესების გათვალისწინებით მიეღოთ გადაწყვეტილებები. დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ ნამდვილი სუვერენიტეტის გზა პარლამენტის გზაა, რომ საჭიროა სესიამ გაითვალისწინოს ხალხის მოთხოვნა ჩვენი ჭაბუკების მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე მოხდის შესახებ.

სესიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სახალხო განათლების სისტემის შემდგომ სრულყოფას. დაისვა საკითხი მეტი ყურადღება მიექცეს ბავშვებს, რისთვისაც აუცილებელია მნიშვნელოვნად შემცირდეს დედების სამუშაო დღე. იყო ლაპარაკი სასწავლო პროცესის ხელშეუხებლობაზე.

დეპუტატები ლაპარაკობდნენ რესპუბლიკური და საკავშირო ორგანოების ურთიერთობის, რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის საკითხებზე, ეკონომიკის სფეროში დღევანდელ დაძაბულ ვითარებაზე, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პრობლემებზე, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს მომავალი წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი.

სესიის ორდღიანი მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო. სესია ჩატარდა დროის ახალი ნიშნით, როგორსაც დიდი ხანია ელოდა ჩვენი ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# სურვილების თუ ნდობის კრიზისი?

როგორც უფოკუსო ობიექტივში, ისე ბუნდოვნად წარმოჩინდა დღეს მრავალი პრობლემა, რომელიც თავისთავად შეიძლება მკაფიოც იყოს და ნათელიც, მაგრამ გამოკვეთილად ვერც დაგვინახავს და ვერც სახელი შეგვირქმევია.

შეიძლება ვინმეს უფოკუსობის ჩემი თეზისი არ მოეწონოს — მეტი რაღა სიმკვეთრე გინდა, რაც ჩვენ პრობლემები სულსა და გულს გვიღალავსო. როგორ არა, როგორ არა! ყველა პრობლემა მწვავეზე მწვავეა, მაგრამ, სიმწვავე როდი ნიშნავს, ყველა მის კონტურს ნათლად ვარჩევდეთ, ან ბოლომდე შეცნობილი გვქონდეს მისი არსი.

აბა, ერთი დავფიქრდეთ, მივდგეთ მოვდგეთ. ჩვენს გარდა სხვა რესპუბლიკებსაც გადავხედოთ, თუ რომელიმე პრობლემას იპოვით ცალკეულად, გამოკვეთილად, რომ თავისუფლად თქვა: ამა და ამ სატკივარს ესა და ეს მიზეზი აქვს და შესაბამისი განკურნებაც ამა და ამ წამლით ასე და ამგვარად შეიძლებაო.

ჩვენ პრობლემათა ისეთი ურთიერთ გადაკვანძა-გადახლართვის რთულ ხანაში შევედით, წარსული აწმყოს რომ ეხლება, ეკონომიკა ეკოლოგიას, დემოგრაფია სოციოლოგიას, ყველანი ერთად კი პოლიტიკას. ახლა ძნელია გამოათავისუფლო ერთი რომელიმე „წმინდა“ პრობლემა, როგორც, ვთქვათ, ეს ათწლეულების წინად შეიძლებოდა და იგი ან მხოლოდ ეროვნულად წარმოგვესახოს, ან ეკონომიკისა იყოს, ან მხოლოდ დემოგრაფიისა. ერთი რამ შეიძლება ითქვას გარკვეულად მხოლოდ — უპირველესად თავი გვქონია საპოვნი, რადგან ათწლეულებმა ისე განვლო, საკუთარი თავი არავის გახსენებია.

რაკი თავი დაგვავიწყდა, აზროვნებისა და ფიქრის გადაჩვევას რაღა უნდა? წარსულს ვერ შეცვლი. იყო, იყო დრო, სამწუხაროდ, ხანგრძლივი, ჭკვიანი და გონიერი კაცი ჩირადაც რომ აღარ გვიღირდა.

ისე გამოვიდა, საკუთარი თავი რომ არად გვიღირდა, თურმე, სხვა გვიყვარდა თავზე მეტად, ჯერ სხვისთვის ვიწვოდით და ვიდაგვოდით, ისე გავიწვრთენით სხვათა სიყვარულში, აფრიკელი მუშა საკუთარ შვილს გვერჩია. ოღონდაც მუშას პროლეტარის სახელი რქმეოდა, მას არც საკუთარი ეზო-გარემო და სახლი სჭირდებოდა, არც საკუთარი მშობელი და არც სამშობლო.

ერთ რამეში მაინც გაგვიმართლა. კიდევ კარგი, რომ მთელი დედამიწის პროლეტარებმა ერთად ვერ მოიყარეს თავი, თორემ, აბა, წარმოიდგინეთ იმ პირობებში ჩვენთვის საკვებიც რომ ვეღარ მოგვიპოვებია, მთელი მსოფლიოს ასე დაყინებით მოწვეულ პროლეტარიატს რა მონაპოვარს შევთავაზებდით.

შვიდი ათეული წლის განმავლობაში პირველად მივხვდით, რომ სადღაც შორეულ სივრცეებში კომუნიზმის ყლორტების დასანახად დაძაბულ ცქერას არაფერი მოაქვს. პირველად შევხედეთ რეალურად წუთისოფლის მდინარებას და აღმოვაჩინეთ, რომ მარტო ზეცაში კი არ გვიჭვრეტია, ამქვეყნიური „ღმერთებისაგან“ ქვაბავაზაკობის პრაქტიკა მეტი შეგვითვისებია.

გაღვიძებისას საზოგადოებრივ გონსაც იგივე ემართება, რაც პიროვნულ ცნობიერებას. თავდაპირველად ბუნდოვნად ხედავს საგანს. რომ იგი ნათლად დაინახო, სრული გამოფხიზლებაა საჭირო, გამოფხილებას კი შენჯღრევა, ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემის დესპოტური. ყოვლისმომცველი ჰიპნოზიდან გამოსვლა სჭირდება.

ასეთი გამომაფხიზლებელი ძალა ჩვენში არ არსებობდა და დიდი ხნის განმავლო-



საქ. სსრ ... მარქსის
სახ. სახ. იესპუბ.

ბაში არც გაჩნდებოდა, რომ თვითონ ხელისუფლება არ გამოფხიზლებულიყო და ეს მისია არ ეკისრა. სულ სხვა საქმეა ხელისუფლებამ ეს მისია თავს რატომ იდო, იქნებ სურდა ხალხსაც ის დაენახა, რასაც თვითონ ხედავდა, მაგრამ მოძრაობას თავისი კანონები აქვს; ხალხმა მტყუვანი და მართალი ერთ სასწორზე შეაგდო და ისტორიული ცოდვა-ბრალის ხელახლა აწონას შეუდგა.

პროცესი ძვრისა უკვე სახეზეა. მოძრაობა კი, რაც არ უნდა გზები წინასწარ აურჩიო, კალაპოტს თავის ნებითა და ჭკუით იკვალავს. საით წავა იგი, რას მიანგრ-მოანგრევს, ღმერთო შემინდე, და დღეს კაცმა არ იცის.

ერთბაშად გავახილეთ თვალი და ამ უეცარმა გამოფხიზლებამ და თვალის გახელამ ყველა პრობლემა ერთად, ერთ ფოკუსში თავმოყრილი დაგვანახა!

მთავარი ჯაჭვი, რასაც პირველადვე მივწვდით, ის იყო რომ:

თურმე, კ. მარქსს, ფ. ენგელსს და ვ. ლენინს პროლეტარიატის დიქტატურაში ჰუმანური დიქტატურა ესმოდათ, ხოლო ი. სტალინს დიქტატურა დესპოტურად გაუგია.

თურმე, მხოლოდ ი. სტალინი იყო რაღაც ურჩხული დედამიწის ერთ მეექვსედზე მოკრიალებული ცა რომ თავისი შავი ფრთებით გადაფარა და სისხლი აწვიმა.

თურმე, მას შემდეგ ქვაბავაზაკთა ხელისუფლება შევქმენით, ერთიმეორეს ზურგსუკან რომ უსაფრთებოდნენ ლიდერის სკამზე დასასწრებლად და არც იმაზე იხევდნენ უკან, შიგადაშიგ საამისოდ თუ სისხლი დაიღვრებოდა.

თურმე, ხალხი არ ხალხობდა — მხოლოდ დიდი ეტლის პატარა ჭანჭიკი იყო, რადგან დიდმა მეეტლემ იცოდა ცხენი მანამ გარბის სწორად, სანამ ლაგამით თავს სწორად დაუჭერ, თვალებზე კი ტყავის ბისტს ჩამოაფარებ. მათრახი ხომ აუცილებელია და აუცილებლი, წამდაუწუმ კი არ უნდა უცაცუნო, რომ არ მიეჩვიოს, ათწლეულებში ერთხელ უნდა გადაუტყლაშუნო, მაგრამ ისეთი, შიშმა დასცეს თავზარი.

ამ ეტლს მსოფლიო შედევრად რომ მიგვაჩნდა, თუმცა სარკმელსა და კარს ვერსად უნახავდი, მაგრამ საიმედოობისათვის ჯერ არნახული ქსოვილის რკინის ფარდები მაინც ამშვენებდა.

მგზავრობის ზღაპრული დასასრულის ფანატიკური რწმენით თვითდაბრმავებულთ სასიხარულო და საამაყოც გვქონდა: ჩვენ პირველნი მივდიოდით ახალი კონსტრუქციის აპარატით, ოთხკუთხა ბორბლები რომ გავუკეთეთ, წარბშეკრულნი თვალს ვარიდებდით კაცობრიობის მიერ დიდი ხნის წინათ გამოგონებულ ბორბლებს და არად ვაგდებდით წახნაგზე შედგომისას წიბოების ჩამტვრევას.

ოღონდაც!

ვიცოდით, რომ გაუვლელი გზის პირველი გამკვლევის მისია დიდ ტანჯვა-წამებასთან იყო დაკავშირებული.

ვიდოდით ასე კმაყოფილნი!

მხოლოდ ის იყო, აღთქმული სადგურის სიშორის განსაზღვრა თითქმის ყველა მესაჭეს შეეშალა. კი მივხვდით, როგორ არა, როცა ეს მთაც გადავლახეთ და ის მთაც, მაგრამ თქმა კი ვერავის გაებედა — იქნებ, სხვა გზაც გვეძებნა, ვაი თუ არასწორად მოვდივართო.

ამ ჯაყჯაყ-ჯაყჯაყში ერთიმეორეს სიამის ტყუპებივით მივეკარით და დავემგვანეთ: ერთნაირად გვციოდა, ერთნაირად გვშიოდა, ერთნაირად დაზაფრულნი ვიყავით, მაგრამ კვნესის მაგივრად პირიდან უცნაური სიტყვა — დიდება — ამოგვდიოდა, გაუთავებლად ვწერდით სახოტბო ლექსებსა და რომანებს, ჩვენს მშვიდობიან მგზავრობაზე მეცნიერულ გამოკვლევებს და, მადლობა ღმერთს, ამ ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწის სულ ერთიანად წყალში ჩაყრა რომ არ მოინდომა, თორემ, შავი ზღვის კი არა, წყნარი ოკეანის აუზსაც არ დატოვებდა აუვსებელს.

ასე და ამგვარად, ჯერ მივქროდით, მერე ერთხანს მივდიოდით, ერთხანს მივბორძიკობდით და საბოლოოდ სრულიად უქმად დავდექით. არა, ამ უძრაობის ეპოქაში მთლად უსაქმოდ არ ვყოფილვართ, გვიმუშავია, მაგრამ იმგვარად სამი მილიარდი მანეთის პროდუქცია არ უკავშირდებოდა საჭირო შრომის შედეგს! ეს წელიწადში! რას ნიშნავს ეს? ძველი ქართული გამოთქმა რომ ჩავრთო — „ქვა გვიკოდია პურის მოყვანის ნაცვლად“!

ბოლოს კი მივხვდით, როგორ არა, ხვნა-თესვაც რომ არის საჭირო, არც ის „საქმე“ უნდა აკეთო, რომელიც არაფერში გჭირდება და უაზროდ შექმნილ ხარახურას დაწვასაც რომ ველარ უხერხებ. არა, იმიტომ კი არა, დასაწვავად გვენანება. არა. ნავთისა და ასანთის შოვნა არ გინდა?

ახლა საით?

რისი დეფიციტი გაჩნდება კიდევ? ხორცი, შაქარი, კარაქი, მარილი თუ... საპონი და სარეცხი ფხვნილი, რომელი ერთი უნდა გაითვალისწინო წინასწარ და მოიმარაგო?

რომ უპასუხო კითხვას — საით — ის მაინც უნდა იცოდე განვითარების რომთელ მოსაბრუნზე შევჩერდით, საერთოდ, ვმოძრაობთ თუ არა, თუ მხოლოდ გვეჩვენება რომ ვმოძრაობთ.

ამას ხომ ახსნა უნდა?

და გაჩნდა სხვადასხვა თეორიები. ერთმა ავტორიტეტულმა მეცნიერმა ისიც კი დაწერა — ჩვენი ხალხის მოთხოვნილება გაიზარდა, თორემ, სურსათ-სანოვაგე და საჭირო სამრეწველო პროდუქცია საკმაოზე საკმაო გვაქვსო.

გარდაქმნის პირობებში სრულიად ახალი ტიპის გაბერილი მოთხოვნილების და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკმაყოფილებლობის კრიზისმა [illegible] აუშვაო.

ადრე არასოდეს არ ჰქონიათ საბჭოთა ადამიანებს შესაძლებლობა ასე აშკარად, ასე დაჟინებით, ულტიმატუმის დონეზე მოეთხოვათ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, არა რაღაც შორეული, აბსტრაქტული მომავლისათვის, არა საერთოდ კაცობრიობისათვის, არამედ ახლავე, თავისი თავისთვის და თავიანთი ოჯახებისთვის. ასე ისარივით ულოგიკოდ ავარდა თურმე ჰაერში პრეტენზირების მრუდი! არა, ასეთი პრეტენზირების დაკმაყოფილება შეუძლებელიაო, გაჩნდა თუ არა მაღაზიებში შაქარი და კარაქი, ან სხვა გადეფიციტებული პროდუქტი, რაც სჭირდება, განუზომლად მასზე მეტს ოჯახში მიაქანებსო.

ნუ იზამთ მაგას — სურვილების დაკმაყოფილების კრიზისი გაჩნდა — გადაჭარბებით ნუ ვიძენთ მას, რაც ყოველდღე უნდა იყიდო, ხალხო, გონს მოდით, ეს დაგვღუპავსო.

არც ისეა საქმე ამ ჩიხიდან გამოსავალი ვერავის ეპოვნოს. აგერ, ბატონო, საბარათო სისტემა შემოვიღოთ და თუ მაგ პრეტენზიებს ვერ მოვთოკავთ, მაშინაც ნახეთო. კანტი-კუნტად პროტესტიც გაისმა ბარათი ხომ საქონელს არ მოგვიმატებსო!

მართლაც, დაავადებული ეკონომიკის პირობებში ბარათი დაემსგავსა იმ წამლის რეცეპტს, რომელსაც ველარ შოულობ.

საბარათო სისტემის შემოღებამ მთლიანად ჩაგვაბარა ადმინისტრაციულ — ბიუროკრატიულ სისტემას! არადა, სოციალისტური ქვეყნების მაგალითმა ხომ ჩვენზე ადრე აჩვენა, რომ ბარათების სისტემით დამყარებული სოციალური სამართლიანობა საერთოდ უსისტემო გამოდგა!

მაშ, რა დაგვემართა? რაღა კრიზისი დაგვატყდა თავს?

ეკონომიკურს, სოციალურსა და პოლიტიკურს გამოეყო ერთი საყოველთაო— ნდობის კრიზისი — ყველაზე მწვავე და უსაშველო.

ხალხს უთქვამს — ნდობის დაკარგვაა იოლი, თორემ მოპოვება ძალზე ძნელიაო.

დაიკარგა ნდობა ხელისუფლებისადმი.

იქნებ, იმის იმედი გვაქვს, რომ ჯერ მსოფლიოში არავის გამოუნგარიშებია, რამდენი ტყუილის თქმაა საჭირო რომ ნდობა დაკარგო? იქნებ, ამ ნდობის დასაკარგად ისიც კმაროდა, დაპირებებით ორ-სამჯერ კომუნიზმის მწვერვალები რომ მოვინახულეთ, ხელთ კი არაფერი შეგვრჩა?

„ძნელია, როცა სახელმძღვანელო დედააზრებს ფეხქვეშიდამ მიწა გამოეცლება; ძნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება“. — ასე ბრძანებდა დიდი ილია.

გივი მარუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვულოცავთ!

## საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის კონკურსებში გამარჯვებულნი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ განიხილა კომისიის გადაწყვეტილებანი ჟურნალისტთა კავშირის 1988 წლის კონკურსების შედეგების შესახებ.

კონკურსში — „ვეტერანი ჟურნალისტის საუკეთესო პუბლიკაციისათვის პრემია ჩვენი რედაქციიდან მიენიჭა ეთერ ვლადიმერის ასულ ჯაფარიძეს — ჟურნალ „საქართველოს ქალის" განყოფილების გამგე.

ფოტოკონკურსში „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი" — პრემია დაიმსახურა დავით ვლადიმერის ძე იაკობაშვილმა — ჟურნალ „საქართველოს ქალის" ფოტოკორესპონდენტმა.

# ჩემი ხნისა მოიყვანეთ!

— თქვენ ახლა სხვანაირად უყურებთ ცხოვრებას შვილებო, უფრო ადვილად წყვეტთ ყველაფერს. ჩვენ მაშინ უფროსების დაუკითხავად ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდით. ჩემს კაცზე გაყოლა ძმის რჩევით გადავწყვიტე; მეზობელი იყო, ვიცნობდი, თორემ აბა, ერთი ბათუმელიც ქე მეხვეწებოდა ცოლობას, მარა რაფერ გავყვებოდი იმ გადაკარგულში, რომ მივეტოვებიე? — იცინის მხიარულად და გულიანად ქაქალა ბებია, — ას წელიწადს გადაცილებული ქაქალა კობახიძე, რომელსაც საოცრად ნათელი გონება და თავისებური, განუმეორებელი იუმორი აქვს. იგი ზესტაფონის რაიონში, არგვეთაში ცხოვრობს და ამ სოფლის მთელი საუკუნის ცხოვრება ახსოვს.

— ...მერე მოვიდა მაშვალი და გავყევი რაფიელ კაპანაძეს. ქორწილის მერე ხუთი მანათი ფული და საკლავის ტყავი ერგო მაშვალს. არ მქონდა ჭკუა, ცხრამეტი წლის ვიყავი მაშინ, თორემ ცხვირწინ მაშვალი რად მინდოდა საქმის გასარიგებლად, ის ხუთი მანათიც მე დამრჩებოდა, მაგრამ მაშინ ასეთი იყო წესი. სამაგიეროდ, ახლა რომ პანტაპუნტით ინგრევა ოჯახები, ასე კი არ იყო. ქალი შინ იჯდა და ბავშვებს ზრდიდა, ჩემს მეზობლებს რვაზე ნაკლები შვილი არ ჰყავდათ, მეც ოთხი შვილი გავზარდე, ნეტა მეტი მყოლოდა. ახლა, თურმე, ბევრი შვილიც არ ყოფილა მოდაში. რას არ გეიგონებ კაცი!



ბევრი ამბავი მახსოვს ბატონყმობიდან. ერთხელ, თურმე, ბატონმა ჩამეიარა, გლეხს ქათამი არ ჰყავდა და ყვავის ბახალა შეუწვა ბატონს. ვერაფერს მიმხვდარა ბატონი. ეტყობა, გემრიელი იყო, ყვავის ბახალა... — ხუმრობს ქაქალა ბებია.

ისიც მახსოვს, ბატონებს ზურგით რომ დაატარებდნენ ამ მდინარეზე. ერთხელ ჩაუვარდათ, თურმე, ბატონი წყალში და როზგიც არ ასცდა საცოდავ გლეხს. თუ ცხენს სთხოვდი ბატონს, ორ დღეს იმუშავებდი მის ეზოში, თუ უნაგირსაც მოგცემდა — სამი დღე უნდა დადგომოდი მოსამსახურედ. სად იყო სამართალი, წირვა-ლოცვის დროსაც კი გაყოფილი იყო გლეხები და აზნაურიშვილები. გოგოებს თვალი იქეთ გვეჭირა, სულ იმას ვნატრობდით, ნეტავი გადაგვახედა ბატონის ეზოშიო. ჩურჩუტები ვიყავით და მეტი რა გვინდოდა! ყოველ სოფელს მწერალი, მამასახლისი და მისი თანაშემწე ჰყავდა. გლეხი თუ გადასახადს ვერ გადაიხდიდა, ყველაფერს ჩამოართმევდნენ, ქვეშაგებსაც არ დაუტოვებდნენ. მამასახლისს თუ ეზო არ მოუვიდოდა თვალში სისუფთავით, გლეხს დაემუქრებოდა, იცოდე, გადაგასახლებო და მორჩა, მეორე დღეს გაკრიალებული ხვდებოდა ის ეზო...

მაშინ სულ ოთხი დუქანი (ჩვენებურად — მაღაზია) იყო, მაგრამ, ყველაფერი იშოვებოდა. ახლა რომ ჩუმად ჰყიდიან, ისე კი არ იყო. არც ფასი იყო ძვირი. მახსოვს, მანეთიანი მაჩუქეს ერთხელ. მაშინ ჯარიანობა იცოდნენ. შეიკრიბებოდა ხალხი, ერთობოდა, ცეკვა-სიმღერები იმართებოდა. მეც გამიწვიეს საცეკვაოდ. ახლა რომ ვარ, ისეთი კი არა, მშვენიერი კოხტა გოგო ვიყავი და მეც ვიპრანჭებოდი. ვიცეკვე, მაგრამ სულ სიმწრის ოფლი მდიოდა, ფული არ დამეკარგოს-მეთქი... მერე იმ მანეთიანით „რუბაშკა" და სამზითვო მაკრატელი ვიყიდე. ასეა, იცინე, ხო, იცინე, ასე იყო. ჩემი ხნის ქალს ტყუილიც დაეჯერება!

მაშინ, ძველ დროში, თუ შრომა არ გეზარებოდა, მჭადიც და ღვინოც არ გამოგელეოდა. ჩემს ქმარსა და ორ მაზლს მუშაობა უყვარდათ და ტონობით სიმინდი შემოუდიოდათ, ორი სასიმინდე ჰქონდათ. მაგათი სიმინდის დარჩევაში მთელი სოფელი მონაწილეობდა; მერე ქონება ჩამოართვეს, კულაკი ხარო. ეს მიწა გაკოტრებულ თავად ჭაჭიაშვილისაგან სულ ბაჯაღლო ოქროს ფულად იყიდეს. სამივე ძმის იყო, სამივე ამუშავებდა, დღე და ღამე გასწორებული ჰქონდათ...

მერე ისეთი დრო დადგა, ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძოდნენ კაცები. ჯარიც შემოვიდა, ხალხს აშინებდნენ, ქალები ვიმალებოდით. ძნელი დრო იყო, გვიჭირდა...

კოლმეურნეობის პირველი კრებაც მახსოვს, ეკლესიასთან გაიმართა აგერ, გურგენიძე იყო ჩვენი კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე. ჩვენი სოფელი ძველია. დიდი სოფელი იყო. ახლა თანდათან ცარიელდება. შემოდგომაზე ზოგჯერ მომხმარესაც ვერ იშოვი, ყველა ქალაქში გარბის. ისე, საზაფხულოდ და აგარაკად კი უნდათ. დატვირთავენ ამ ეშმაკ-კუდიანის მოგონილ მანქანებს და წავლენ. ჩვენ კი ყველა ზაფხულის მოლოდინით ვცოცხლობთ.

ბავშვებს უსწავლელს ხომ არ დავტოვებდი, აქაოდა კულაკის შვილები ხართო, თბილისში წავიყვანე სასწავლებლად. კულაკი კი არადა, მშრომელი და პატიოსანი იყო ჩემი კაცი. ყველას იჭერდნენ მაშინ. ერთხელ კინაღამ ჩემი ქმარიც დეიჭირეს. მთელი ღამე ლოდინით დევილიე, დილით რომ მევიდა, სული ჩამედგა.

ბავშვები რომ თბილისში სწავლობდნენ, ერთხელ დატვირთულმა ჩავაკითხე და მაშინ დევიკარგე სწორედ იმ უშველებელ ქალაქში. კიდევ კარგი, პატიოსანი ხალხი ბევრი აღმოჩნდა, მერე ნაცნობიც ვიპოვე, თორემ რა მეშველებოდა. რომ მაგონდება, ეხლაც მეშინია. მაშინ შიშისაგან მთელი თვე მაციებდა...

...მერე ისიც მახსოვს, ჩვენი მთავრობის კაცმა მათრახი რომ გადაკრა ჩვენს მეზობელ ამბროსი კობახიძეს. კრებაზე მოხდა ეს ამბავი, ზესტაფონში წაიყვანეს ამბროსი და ძლივს გადარჩა. პირდაპირი და პატიოსანი კაცი იყო, ალბათ, ვერ თქვა ისე, როგორც მათ უნდოდათ და იმიტომ გაიმეტეს.

ჩემი ძმა — ვანია კოჯორთან იბრძოდა იმ დაწყევლილ დროს, იქ დაიჭრა. მეორე ძმაც ომში იბრძოდა. მე რა შემეძლო. ვაკეთებდი რაც ქალის საქმე იყო. ვზრდიდი შვილებს, ვუვლიდი ოჯახს, ვშრომობდი. წელიწადში სამჯერ მომყავდა აბრეშუმის ჭია; მენანება უსწავლელი რომ დავრჩი, მაგრამ მეამაყება — ოთხივე შვილმა უმაღლესი განათლება მიიღო, შვილიშვილებიც და ბადიშიშვილებიც ყველა სწავლობს, მაგათ ენაცვალოს ბებო, ხუმრობა ხომ არ არის, თერთმეტი შვილიშვილი და ცამეტი ბადიშიშვილი მყავს, მაგრამ კიდევ მეტი უნდა ვიყოთ, უნდა გავმრავლდეთ ქართველები მტრის ჯინაზე!

ისიც კარგად მახსოვს, მეწვრილმანე ებრაელისაგან ორი კვერცხის ფასად გიშრისთვლიანი ბეჭედი რომ ვიყიდე. ახლა ფულმაც დაკარგა ფასი და შრომამაც, მუშაობა [illegible] უნდა. ნასწავლი კაცები ბევრი გვყავს, მაგრამ შველა უნდა მიწას, თორემ თუ კაცმა მიწისა და საქმის სიყვარული დაკარგა, ძნელია, მერე უფრო გაუჭირდება ქვეყანას.

ჩემი ხნისა აღარავინ დარჩა სოფელში, შვილო, არადა, რა უცებ გაირბინა ერთმა საუკუნემ, თითქოს გუშინ იყო, აქ რომ დავცქრიალებდი და ბიჭებს ცეცხლს ვუკიდებდი. ახლა კი უკვირთ, ამდენი ხნის რომ მოვიყარე. ჩემს დროს წყალი სუფთა იყო, ბუნება სუფთა და ადამიანის გული და სულიც სუფთა. ამიტომაც მოვედი აქამდე.

დიდი მოფერება უნდა შვილებო, ბუნებას, ჰაერს, წყალს, ადამიანს, სიცოცხლეს...

აპრილის უბედურება რომ გევიგე, გული გამიპო დარდმა. რისთვის, შვილო, ვის დასჭირდა ჩვენი ლამაზი და ჭკვიანი გოგო-ბიჭების სისხლი. ყველა ჩემი სისხლი და ხორცი მგონია, ყველა მიყვარს და ყველას დავსტირი, თქვენ შემოგევლოთ ქაქალა ბებია!

ცხოვრებაში ბევრი მწარეც მინახავს და ტკბილიც, ცრემლიცა და სიხარულიც, საოცრებაც და უბედურებაც. პირველად რადიოს ხმა რომ გევიგონე, მეგონა მეტი არაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ თურმე სადა ხარ, ტელევიზორსაც შევეჩვიე, ადამიანი რომ კოსმოსში დასეირნობს, იმასაც და ახლა მფრინავი თეფშების ამბავიც აღარ მიკვირს.

ერთი კი მუდამ მაოცებს: რად გვიცარიელებენ სოფელს ახალგაზრდები... ყველა რომ ერთად ვიქნებით, სოფელს რომ აღარ დავცლით და გავძლიერდებით, ქალაქსაც წავადგებით და იმძლავრებს საქართველო. მე ჩემი შვილები და შვილიშვილები რომ შემომეხვევიან, მაშინ სიკვდილისაც არ მეშინია, ასე მგონია, იმასაც ვაჯობებ, იმ ოხერტიალს!

ჩემს დროს, ერთი საუკუნის წინ, ახალ წელს ჩიჩილაკით ვილოცებოდით, სიკეთეს, ხვავს, სიმშვიდეს, ოჯახის სიტკბოსა და ადამიანის სიყვარულს შევთხოვდით უფალს. შარშან გააკეთა ჩიჩილაკი ჩემმა ბიჭმა. სიხარულით ცა გამეხსნა, ახალგაზრდობა დამიბრუნდა თითქოს. მაშინაც ასე ვილოცე და ახლაც ასე გლოცავთ ყველას: სიცოცხლე გიყვარდეთ, ერთმანეთი გიყვარდეთ, შრომა გიყვარდეთ, სამშობლო გიყვარდეთ! იმრავლეთ ამ მშვენიერ საქართველოსთვის, ჩემი ხნის მოიყარენით, ღვთისმშობლის დალოცვილებო!

ირინე კუკავა

**დედაქალაქის ახალმშენებლობებზე**



# ქალი შინიდან გამო-ვიდა...

დიდი დიღომი თბილისის ახალი დასახლებაა. იმ ადგილზე, რომელიც ათი წლის წინათ ქალაქის გარეუბნად ითვლებოდა, კიდევ ერთი საცხოვრებელი უბანი შენდება.

თავდაპირველად, როგორც არქიტექტორები ირწმუნებოდნენ, იგი უნდა ყოფილიყო ყველაზე დიდი დასახლება თბილისში, სადაც დაახლოებით ორასი ათასი კაცი იცხოვრებდა. დიღმის ახალი მასივი დაიწყებოდა მუხათგვერდიდან და შეუერთდებოდა ვაშლიჯვრის დასახლებას. იმ დროს როცა ეს პროექტი კეთდებოდა, „ეკოლოგია" დიდად პოპულარული სიტყვა არ იყო და არც პროექტის ავტორებს მიუქცევიათ ყურადღება ერთი ასეთი გარემოებისათვის: ახალი დასახლება მთლიანად ჩაკეტავდა იმ ხეობას, საიდანაც დღეს თბილისი ბუნებრივად ნიავდება.

ახლა, როცა დედაქალაქის საჰაერო აუზის დაბინძურებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, ამგვარი ნაბიჯი თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ დიდი დიღმის განვითარების გეგმასაც ყველამ კრიტიკული თვალით შეხედა და გადაწყვიტეს ის მასშტაბები, რაც თავიდან იყო გათვალისწინებული, მნიშვნელოვნად შემცირებულიყო.

ასე თუ ისე, ერთი მიკრორაიონი რამდენიმე წელიწადია უკვე ჩაბარდა საცხოვრებლად და ბევრმა თბილისელმა იზეიმა ახალმოსახლეობა. აქ დღეს რვა ათასი კაცი ცხოვრობს. როგორც ყველა ახალდასახლებაში, ალბათ, აქაც უამრავი ყოფითი პრობლემა აწუხებთ. კონკრეტულად რა და როგორ? შევეცადოთ ამ კითხვაზე გავცეთ პასუხი.

იმის გამო, რომ გეგმით გათვალისწინებულიდან ჯერ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გაშენდა და ისიც ყველაზე განაპირა ადგილას, დიდი დიღმის დასახლება ქალაქიდან ერთგვარად მოწყვეტილი და იზოლირებული აღმოჩნდა. ახალ უბანში უცხო ადამიანს სწორედ ეს სიმარტოვის გრძნობა მოხვდება თვალში. იქნებ ამიტომაც ბუნებრივად ჩნდება სურვილი, ახალ დასახლებას ყველაფერი „საკუთარი" ჰქონდეს, რომ აქ დასახლებულ ოჯახს ყოველდღე ქალაქის ცენტრში არ უხდებოდეს ყველა წვრილმანისათვის სირბილი.

ამ პრობლემას ყველაზე მეტად ქალები გრძნობენ. არც არის გასაკვირი. როგორი დიდიც არ უნდა იყოს მამაკაცისაგან დახმარება და მხარში დგომა, ოჯახის ყოველდღიური საზრუნავი მაინც ქალის მხრებზე გადადის და ვნახოთ, რით შეიძლება იყოს უკმაყოფილო დიასახლისი.

ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა: სურსათვაჭრობის, ხილბოსტანვაჭრობის, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, კავშირგაბმულობის ყველა სახის ობიექტი ემსახურება დიდ დიღომს. რაც მთავარია, ისინი თავმოყრილია არა ერთად, ერთ წერტილში, არამედ მიმოფანტულია მთელს დასახლებაში და საცხოვრებელი კორპუსების პირველი სართულები უჭირავს. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამგვარი განლაგება უფრო ხელსაყრელია მობინადრეთათვის, ვიდრე მომსახურების ყველა სფეროს თავმოყრა ერთ მსხვილ ობიექტში.

ჩვენ მაინც თავი შევიკავოთ საბოლოო დასკვნისაგან და ისევ დიდ დიღმელებს მოვუსმინოთ.

**მარიამ დგებუაძე:** — პედაგოგი გახლავართ, ვასწავლი საშუალო სკოლაში. ყოველდღიურად მიხდება ქალაქის ცენტრში სიარული. ისე, რომ მარტო აქაურ მაღაზიებზე არა ვარ დამოკიდებული. თუმცა, პენსიაზე გასვლას ბევრი აღარ მიკლია და ვიცი, მეც მომიწევს აქაური დიასახლისების პრობლემების გაზიარება. მანამდე კი მინდა შევნიშნო, რომ დიდ დიღომში ერთობ მომრავლდა კოოპერატივები. თითქოს არ არის ეს ცუდი, ისინი ხომ ხარისხის გარანტიას იძლევიან?! მაგრამ ფასები? განა ყველას შეუძლია ორმაგი, სამმაგი გადაიხადოს ყველაფერში?! არადა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების უმრავლესობა სწორედ კოოპერატივებს ეკუთვნის. ავიღოთ თუნდაც, თეთრეულის რეცხვა და ქიმწმენდა. მომსახურებაზე საყვედურს ვერ იტყვი: მოვლენ, თვითონ წამოიღებენ, გაასუფთავებენ და ისევ შინ მოგართმევენ. მაგრამ ფასი? ამიტომაც ვთვლი, რომ რაკი ძირითადად კოოპერატივები გვემსახურება, აქვე უნდა იყოს სახელმწიფო ობიექტებიც (იმავე პროფილის). დაე მობინადრემ თავად აირჩიოს ხელსაყრელი ფასი თუ მაღალი ხარისხი!

**ნუნუ მიშველაძე:** — დიასახლისი გახლავართ, მყავს მეუღლე, შვილები. მანქანა არა გვაქვს. ავტობუ-

სით თითქმის ქალაქის ცენტრში გასვლას კი ერთი საათი სჭირდება. ალბათ მიხვდებით, რამდენად მოსახერხებელია ჩემისთანა დიასახლისისათვის აქვე, ყურისძირში ჰქონდეს ყველაფერი. თითქმის არაფერი გვაკლია, მაგრამ... რამდენი ხანია ველოდებით ხილბოსტნეულის მაღაზიის გახსნას. ყველაფერი მზად არისო, ამოქმედებას კი არა და არ დაადგა საშველი. არც ბაზარი გვაქვს ახლოს. მართალია ეს უბანი ჯერ ახალია, მაგრამ კარგი იქნება თუ სამომავლოდ მაინც გაითვალისწინებენ ამას. დიდი დიღომი დიდი დასახლება უნდა იყოს და ერთი საკოლმეურნეო ბაზარი აუცილებელი იქნება.

უმეტესი მაღაზიების მომარაგების საქმე ისეა, როგორც ერთ ქართულ ანდაზაში, გარედან მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნიდან მოყვარესო... დიდი ხანი არ არის, რაც გაიხსნა „თეთრონი“, მაგრამ რად გინდა? ხეირიანსა და საყიდლად ვარგისს იქ ვერაფერს ნახავთ. სხვაც ბევრია ასეთი გამოცარიელებული მაღაზია.

ერთსაც ვიტყვი, ძალიან გვინდა, ჩვენს დასახლებას ჰქონდეს თავისი კინოთეატრი. რა სჯობია, საღამოთი მთელი ოჯახი წახვალ, გაისეირნებ ფეხით, ნახავ სასურველ ფილმს და მშვიდად დაბრუნდები შინ. აღარ დაგჭირდება ავტობუსით სიარული, ზედმეტი დროის დახარჯვა.

დიდი დიღმის მშენებლობა ისევ გრძელდება. ზევით, ხეობისაკენ მიიწევს კორპუსები... დასახლების კეთილმოწყობის საქმე ჯერ სანახევროდაც არ გაკეთებულა. აქაურობას კიდევ ბევრი რამ შეემატება. ალბათ, ამ სიახლეებში უპირველესად ოჯახისა და ქალის ინტერესები იქნება გათვალისწინებული. დიდი დიღომი ქალაქის განაპირას გაშენებული საცხოვრებელი უბანია და აქაურ დიასახლისებს უნდა ჰქონდეთ იმის გარანტია, რომ შინიდან გამოსულებს ქალაქის ცენტრში წასვლა ყოველდღიურად არ დასჭირდებათ.

მანანა ჯორბენაძე

## მსოფლიოს გამორჩენილი ქალები

# ჟანა დარკი

ჟანა დარკის გმირული ეპოპეა შთაგონების წყაროდ იქცა ისეთი მოაზროვნეებისათვის, როგორიც იყვნენ: უილიამ შექსპირი, ფრანსუა ვოლტერი, ფრიდრიხ შილერი, ჯუზეპე ვერდი, პეტრე ჩაიკოვსკი, ანატოლ ფრანსი, ბერნარდ შოუ და სხვები.

ჟანა დარკი დაიბადა 1412 წელს, საფრანგეთის ლოტარინგიაში, სოფელ დომრემში. ეს ის პერიოდია, როცა საფრანგეთი ინგლისთან ასწლიანი ომის გამო პოლიტიკურ დეგრადაციას განიცდის. ამ ხანებში საფრანგეთში გავრცელდა თქმულება „ქალი დაღუპავს საფრანგეთს და ქალწული იხსნის მას“. ამ თქმულებამ, როგორც ს. სკაზკინი აღნიშნავს, ჟანას ყურამდე ცოტა შეცვლილი სახით მიაღწია: „ეს ქალიშვილი ლოტარინგიიდან იქნება“. ჭეშმარიტებისაგან შორს არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ასწლიანი ომის ყველაზე დრამატული მომენტი იყო ორლეანის ალყა. იგი იყო სამხრეთ საფრანგეთის გასაღები და მისი დაცემა საფრანგეთის დამოუკიდებლობის დასასრულს ნიშნავდა. ჟანას მოსვენება დაუკარგა სამშობლოს ბედკრულმა ყოფამ. მან გადაწყვიტა ვოკულერში რობერ დე ბოდრიკურს ხლებოდა, რომელიც მეფის პარტიის მომხრე იყო. ბოდრიკურმა ქალიშვილს უფლება მისცა მეფესთან ნასულიყო. ეს შეხვედრა 1429 წელს მოხდა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თანამედროვეთა შორის. საქმე ის იყო, რომ ჟანამ, რომელსაც აქამდე არასდროს ენახა საფრანგეთის მეფე, დარბაზში შესვლისთანავე იცნო იგი. მეფე ჩვეულებრივად ჩაცმული, ყოველგვარი სამეფო რეგალიების გარეშე დიდებულებს შორის იდგა. ჟანა მთავარსარდლად არავის დაუნიშნავს, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი წერს, უბრალოდ, მეფემ ნება დართო ლაშქარს ხლებოდა.

1429 წლის აპრილში ფრანგებმა ალყა შემოარტყეს ორლეანს, ჟანას გმირულმა აღტკინებამ, მისმა თავგანწირვამ დიდად გაამხნევა ფრანგები და მათ საბრძოლო სული მთაბერა. ისინი გაორკეცებული ძალით ეკვეთნენ მტერს. 1429 წლის მაისში ორლეანი დანებდა, ხოლო ჟანა ჩადენილი გმირობისათვის ისტორიაში „ორლეანელი ქალწულის“ სახელით შევიდა.

ორლეანის დაცემა ასწლიანი ომის ბედის შემობრუნებას ნიშნავდა. საომარი ინიციატივა ფრანგების ხელში გადავიდა, რაც ჟანა დარკის უდიდესი წვლილი იყო. ჟანამ ინგლისელებისაგან ზედიზედ გაათავისუფლა საფრანგეთის ქალაქები და 1430 წელს რეიმსში შარლ VII (1422-1461) მეფედ აკურთხა. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი მარკ ბლოკი შენიშნავდა: „ის ვისაც არ შეუძლია წარმოიდგინოს რეიმსში მეფედ კურთხევის ცერემონიალი და ფედერატების დღესასწაული (ბასტილიის დაცემის წლისთავი), იგი საფრანგეთის ისტორიას ვერ გაიგებს“. რეიმსში მეფედ კურთხევას დიდი მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ტრუას სამარცხვინო ზავი ფაქტობრივად გაუქმდა.

საფრანგეთის არისტოკრატიას არ მოსწონდა ჟანას პოპულარობის ზრდა. კ. მარქსი „ქრონოლოგიურ ჩანაწერებში“ შენიშნავდა: „არისტოკრატიას ეკალივით ესობოდა თვალში უბრალო გლეხის გოგო“. მათ აშინებდა სავსებით რეალური ფაქტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ გადაქცეულიყო ახალ ჟაკერიად. ასე წარმოიშვა ჟანა დარკის თავიდან მოშორების იდეა. არისტოკრატიის ვერაგული ღალატის შედეგად 1430 წლის მაისს კომპიენის ბრძოლაში ბურგუნდიელებმა ჟანა დარკი ტყვედ ჩაიგდეს და 1000 ოქროდ მიჰყიდეს ინგლისელებს. კომპიენის ციხის კომენდანტი გიიომ ფლავი, რომელსაც ზოგიერთი ისტორიკოსი (ედ. შამპიონი) ჟანა დარკის დატყვევების მთავარ დამნაშავედ ასახელებს, უბრალოდ საფრანგეთის არისტოკრატიის ბრმა იარაღი და მისი ნება-სურვილის მორჩილი შემსრულებელი გახლდათ. სწორედ, რომ ამაზე უთქვამს ნ. მაკიაველის — „პატიოსნებისა და უანგარობის ერთადერთი საზღაური უმადურობაა“. ინგლისელები სასტიკად გაუსწორდნენ მოსისხლე მტერს, მას ჯადოქრობა დასწამეს და 1431 წლის 30 მაისს რუანში კოცონზე დაწვეს. ამ შემთხვევაში ინგლისელები მხოლოდ პირად ანგარიშსწორებაზე როდი ფიქრობდნენ, როგორც ა. ლიუბლინსკაია შენიშნავს, ისინი პოლიტიკური მოტივებითაც ხელმძღვანელობდნენ. საქმე ის არის, რომ ჟანას ჯადოქრობის შემთხვევაში შარლ VII-თვის გვირგვინის დადგმა რეიმსში თავის მნიშვნელობას კარგავდა.

ასე დასრულდა ჟანა დარკის გმირული ეპოპეა, მაგრამ მის მიერ დაწყებული საქმე არ შეწყვეტილა და 1436 წელს ფრანგებმა პარიზი გაათავისუფლეს, ხოლო ასწლიანი ომი 1453 წელს საფრანგეთის სრული განთავისუფლებით დასრულდა. ინგლისელებმა მხოლოდ ქალაქი კალე შეინარჩუნეს, რომელიც საფრანგეთმა 1558 წელს კატო-კამბრეზის ზავის თანახმად შეიერთა.

ასწლიანი ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ მიზანშეწონილად სცნო ჟანა დარკის საქმისათვის გადახედვა. ბრძანება წინასწარი გამოძიების შესახებ შარლ VII ჯერ კიდევ 1450 წლის თებერვალში გამოსცა. ოფიციალური ძიება 1452 წლის აპრილში დაიწყო სარეაბილიტაციო ტრიბუნალი მუშაობას შეუდგა 1455 წლის ნოემბერს და მუშაობა დაასრულა 1456 წლის მაისში, რის შედეგადაც ჟანა არ სცნეს დამნაშავედ ჯადოქრობაში.

ასე იქნა რეაბილიტირებული საფრანგეთის ეროვნული გმირი 19 წლის ჟანა დარკი.

მ. კალანდაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



## დოლორეს იბარური

ესპანეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა დოლორეს იბარური. ესპანეთში კომპარტიის დაარსების დღიდანვე იგი იყო ამ პარტიის წევრი და სხვადასხვა დროს რედაქტორობდა კომუნისტურ გაზეთებს. როგორც ეკპ-ის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სათავეში ედგა ქალთა შორის მუშაობას, რისთვისაც ექვსჯერ იქნა დაპატიმრებული. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ არჩეული იყო კორტესის ვიცე თავმჯდომარედ. დოლორეს იბარურმა განსაკუთრებული როლი ითამაშა ესპანეთის ეროვნულ რევოლუციაში. მეორე მსოფლიო ომის დროს აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ანტიფაშისტურ მოძრაობაში და იბრძოდა ესპანელთა გაერთიანებისათვის ერთიან ფრონტში, რათა ესპანეთი ომში გერმანიასთან ერთად არ გამოსულიყო. შემდეგ მას ირჩევენ ეკპ გენერალურ მდივნად, 1960 წელს კი თავმჯდომარედ.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ერთერთი დამაარსებელი დოლორეს იბარური მრავალი საინტერესო წიგნისა და პუბლიცისტური სტატიის ავტორი გახლდათ. ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის მებრძოლს მინიჭებული ჰქონდა ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებითა და მედლებით.

გვესაუბრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს აგიტაციისა და პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის მაიორი გიული აგულაძე



# გზა მშვიდობისა!

— დღეს საქართველოში ძლიერ მწვავედ დგას დემოგრაფიის საკითხი. ქართველთა ყოველწლიური მატებით ვერ დავიკვეხნით. ჩვენი მდგომარეობა საგანგაშოა. ჩვენ ხომ საქართველო ქართველებისთვის გვინდა? ავტოკატასტროფებში — გზებსა და გზაჯვარედინებზე ასობით ადამიანი იღუპება. როგორია ამ მხრივ წლევანდელი სურათი?

— საქართველოში წელიწადში საშუალოდ 700-მდე ადამიანი იღუპება. ასეთია დაახლოებით წლევანდელი მონაცემებიც. დასახიჩრებულთა დ ტრამვირებულთა რიცხვი კი 2 ათასს აღწევს. მოგეხსენებათ, მანქანით მგზავრობა ხელსაყრელი და მოსახერხებელია. ხშირად ამ ტრანსპორტით მთელი ოჯახი მიემგზავრება. ზოგჯერ ბრმა შემთხვევით თუ დაუდევრობით ოჯახი იღუპება და იმის მაგივრად, რომ გავმრავლდეთ, ვწყდებით...

— უაზრო სიკვდილის ამდენი შემთხვევა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიზეზებით არის გამოწვეული. ეს მიზეზები შეიძლება იყოს, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური. გთხოვთ განგვიმარტოთ, რა ქმნის ძირითადად საშიშ ავარიულ მდგომარეობას და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან?

— ძირითადი მიზეზები ავტოავარიებისა გადამეტებული სიჩქარე და მძღოლების მიერ წესების უხეში დარღვევაა, რომლის ერთ-ერთი გამოსახულებაც არასწორი გასწრებაა. მას მარცხი მოსდევს, რაც ხშირ შემთხვევაში სიკვდილით ან დასახიჩრებით მთავრდება. ხშირად ვხვდებით საჭესთან მთვრალებსაც, რომლებიც უმეტესწილად მარცხდებიან. არასასურველია მანქანის მართვა მაგნიტურ დღეებში, ან სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭესთან ავადმყოფ მდგომარეობაში ჯდომა.

— მოგეხსენებათ, მომრავლდნენ მძღოლი ქალები. ისინი ხშირად უფრო თამამებიც არიან იმის იმედით, რომ ქალი ვარ და გზას დამითმობენო. გვაინტერესებს, ყოველგვარ რთულ სიტუაციაში ახერხებენ მობილიზებას, ხიფათის თავიდან აცილებას თუ არა? როგორია კატასტროფაში ქალთა დაშავება-დაღუპვის ხვედრითი წილი?

— მძღოლი ქალები კატასტროფაში თითქმის არ ხვდებიან. ეს შეიძლება მათი მეტისმეტი სიფრთხილითაც არის განპირობებული. მაგრამ ჩემის აზრით, რთულ სიტუაციაში ორიენტაციის უნარი მათ მამაკაცებთან შედარებით ნაკლები აქვთ.

— გთხოვთ გაგვაცნოთ პირადად თქვენი მუშაობის სპეციფიკა?

— ჩვენთან მოდის ცნობები თბილისსა და მიმდებარე რაიონებში მომხდარი ავტოავარიების შესახებ, რომლებსაც მე ვაანალიზებ და ვადგენ შესაბამის ოქმებს. სისტემატურად ვემზადები სატელევიზიო გადაცემისათვის, რომლის ტექსტის ავტორიც მე გახლავართ.

— ამასწინათ უცხოელ სტუმრებთან თქვენს შეხვედრას ტელევიზიით ვუყურეთ. გეტყობათ, თავისუფლად ფლობთ ფრანგულ ენას. სად ისწავლეთ, რა სპეციალობა მიიღეთ?

— დიახ, მართლაც, ტელევიზიით ამასწინათ გადაიცა ჩემი საუბარი ორ ფრანგ ქალთან. მათ სხვადასხვა აზრი გამოთქვეს ჩვენს დედაქალაქში მანქანების მოძრაობის შესახებ. ერთმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ თბილისში ბევრი მანქანაა და მოძრაობას ართულებს მძღოლთა მიერ წესების დარღვევა. ამიტომ ბედნიერია, რომ პარიზიდან მანქანით არ ჩამოვიდა. მეორე სტუმარმა ქალმა კი თბილისი შეადარა ევროპის დიდ ქალაქებს ქუჩებში მანქანების სიმრავლით და კმაყოფილი დარჩა, რომ თბილისი ამ მხრივ კიდეც უტოლდება მათ.

მართალი გითხრათ, მათთან საუბრისას ვშიშობდი, შეცდომები არ დამეშვა. მაგრამ გადავრჩი. მართალია, ფრანგულად საუბარი იშვიათად მიხდება, მაგრამ იმდენად კარგად ვსწავლობდი უცხო ენების ინსტიტუტში, რომ ახლაც თავისუფლად ვსაუბრობ. ალბათ, ჩემგან ფრანგული ენის კარგი პედაგოგი დადგებოდა, მაგრამ თავის დროზე ჩემი სპეციალობით სამუშაო ვერ ვიშოვე.

— როგორც დედა და ბებია, ალბათ განიცდით დროის დეფიციტს თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო. გრჩებათ დრო შვილთან და შვილიშვილთან ახლო ურთიერთობისათვის?

— რა თქმა უნდა, დროის დეფიციტი ამ საუკუნეში ძალიან გაიზარდა, მაგრამ მაინც ვცდილობ ყველაფრით დავეხმარო ჩემს შვილსაც და შვილიშვილსაც.

— ალბათ თქვენც გაწუხებთ ის მდგომარეობა, რომ თბილისში სუნთქვა ჭირს. მანქანებისაგან გამონაბოლქვი მავნე გაზები წამლავს ქალაქს, ადამიანებს. იქნებ მალე აირწინაღებით მოგვიხდეს სიარული! როგორ ფიქრობთ, სად არის გამოსავალი? ან როგორია უახლოესი პერსპექტივა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად? როგორც ჩანს, ბენზინის ნაკლებობაც კი ვერ ამცირებს ავტომანქანების მოძრაობას ქალაქში!

— რა თქმა უნდა, ეს დიდი პრობლემაა, კარგა ხანია უცხოეთის ბევრი ქალაქი გადავიდა სუფთა ბენზინზე, რომელიც ასე არ აჭუჭყიანებს გარემოს, მაგრამ ჩვენთან ჯერ ეს არ მომხდარა. ჩვენ ვაწყობთ სხვადასხვა რეიდებს — არის მანქანების გამონაბოლქვთა შესამოწმებლად გამართული ღონისძიებებიც, რა თქმა უნდა, ჩვენ პესიმისტები არ უნდა ვიყოთ და სასურველია გვჯეროდეს მომავლის.

— თქვენ ალბათ საკუთარი ავტომანქანით სარგებლობთ, როგორ გრძნობთ თავს საჭესთან? ძნელია ყველა წესების დაცვით მგზავრობა, როცა ყოველ წუთს მოსალოდნელია საფრთხე ე. წ. მოჯირითეებისაგან?

— ჩვენს აპარატს მანქანა არა აქვს. მე თვითონ კი არ ვიცი ტარება და წინააღმდეგი ვარ ქალის საჭესთან ჯდომისა. რაც შეეხება მოჯირითეებს, ეს პრობლემა მარტო ჩვენთან არ დგას.

— ახლა კი ბოლო კითხვა, ქალბატონო გიული! რას უსურვებდით ახალი წლიდან ჩვენს მკითხველებს?

— პირველ რიგში მე მათ ვუსურვებდი თავისუფალ, ძლიერ საქართველოში ცხოვრებას. ეს ყოველგვარი ბედნიერებისა და წარმატების საწინდარია. საჭესთან მყოფთ კი შევახსენებდი, მკაცრად დაიცვან საგზაო მოძრაობის წესები. დაე, იცოცხლონ და გამრავლდნენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! ამისათვის კი აუცილებელია მშვიდობიანი მგზავრობა.

— დიდი მადლობა საუბრისათვის. თქვენც გისურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში!

ესაუბრა **თამარ ნინიძე**

# როცა ქალი სიყვა-რულია

ორმოციოდე წლის წინათ ჩადგა მწყობრში თბილისის პლასტმასის ქარხანა, რომელსაც რესპუბლიკის განვითარებაში საკმაოდ სოლიდური წვლილი აქვს შეტანილი.

ქართველ პლასტმასელთა შორის ერთერთი პიონერი ოლღა პაპუშვილი-ინწკირველია. ადამიანი, რომლის ბიოგრაფიაც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ამ ქარხნის ბიოგრაფიის სინონიმად.

ქალბატონ ოლღას ცხოვრების საინტერესო გზა აქვს გავლილი. მოწაფეობისას და სტუდენტობისას იმედისმომცემ მსახიობად აღიარეს. მაშინ ჭიათურის საშუალო სკოლის დირექტორი ცნობილი პედაგოგი და მოღვაწე გერვასი ბარათაშვილი იყო, რომელმაც თავისი უტყუარი პედაგოგიური ალღოთი იმთავითვე შეიცნო აღსაზრდელის შინაგანი, მეოცნებე ბუნება. ჯერ კიდევ მერვე კლასელი კომკავშირელ მოსწავლე ჩაება სკოლის სასცენო ცხოვრებაში, ხოლო შემდეგ რაიონის თეატრალურ საქმიანობაშიც, რაც საფუძველი გახდა ოლღას მიერ სასცენო ხელოვნების დაუფლებისა.

ცხოვრება კი სხვა გზით წარიმართა. მსახიობობაზე მეოცნებე ქალიშვილი ინჟინერ-ქიმიკოსის სპეციალობას ირჩევს, შედის ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. ეს არჩევანი, როგორც ოლღა ამბობს, უპირველესად მაშინდელმა დიდმა აღმზრდელებმა, პროფესორმა ალ. ჭიპაშვილმა და გ. კირტაძემ განაპირობეს, რომლებმაც გასაუბრებისას შეატყვეს გოგონას დიდი შინაგანი ენთუზიაზმი. ასეთი ენთუზიასტი ახალგაზრდები კი როგორც რესპუბლიკის, ისე მთელი კავშირის ახლადფეხადგმულ მძიმე ინდუსტრიას და მის ერთ-ერთ უდიდეს სა-

ფუძველს — ქიმიურ მრეწველობას ჰაერივით სჭირდებოდა.

ორმოციან წლებში ნიჭიერმა სტუდენტმა ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. მაგრამ ოლღა პაპუშვილი ამ დროს უკვე ორი მცირეწლოვანი შვილის დედა იყო, რის გამოც მან თავდაპირველად თბილისში ვერ გაბედა მუშაობა და ისევ ქიათურას, მშობლების კერას მიაშურა. აქ იგი მთავარმადან სამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშნეს. მაშინ იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ქალი ასეთ თანამდებობაზე იწყებდა საქმიანობას. შემდეგში ოლღა სამმართველოს ქიმიური ლაბორატორიის გამგედ მუშაობდა.

ოჯახი თბილისში საცხოვრებლად რომ გადმოვიდა, ოლღა ჯერ კიდევ მშენებარე პლასტმასის ქარხანაში მოვიდა. თვითონ ხშირად იგონებს იმ დღეებს: ყველა აგური ჩემს თვალწინ მაღლა, სულ მაღლა მიიწევდათ.

ისეთი საკმაოდ მძიმე და შრომატევადი სამუშაო, როგორიც პლასტმასის გადამუშავებაა, ახალგაზრდა სპეციალისტისაგან მოითხოვდა თავისი საქმის უდიდეს სიყვარულსა და დაინტერესებას. ყველაფერს ამას კი პრაქტიკულად შეუწყო ხელი ამ დარგის მამამთავრის აკადემიკოს ივ. ლოსევის ვაჟის — ბორის ლოსევის გონივრულობამ: ოლღა პაპუშვილი ერთ-ერთი მთავარი საამქროს ცვლის უფროსად დანიშნეს.

ახალგაზრდა სპეციალისტი შეება დიდ საქმეს და სულ მალე გამოიჩინა თავი როგორც საუკეთესო ხელმძღვანელმა. ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ოლღა პაპუშვილი საწნეხ-დამამუშავებელ საამქროს უფროსად დააწინაურეს. 1960 წელს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

მოუსვენარი აზრისა და მუდამ მაძიებელი გონების ხელმძღვანელი, ქარხანას ამჟერად თავის შედარებით სუსტ რგოლში — რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განყოფილებაში სჭირდებოდა.

ოლღა პაპუშვილმა აქაც კარგა ხანი დაჰყო და ამ განყოფილებაში მუშაობის მანძილზე ათეულობით დიდმნიშვნელოვანი გამოგონება თუ ტექნიკური სიახლე შესძინა მშობლიურ საწარმოს. რითაც წარმოებას ათეულ ათასობით მანეთის ფულადი ეკონომია მისცა. მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს — ქართულ ელმავალს, ძვირად ღირებული ლითონის ათეულობით ნაწილი პლასტმასის ნაწილებით სწორედ ოლიას წინადადებითა და ინიციატივით შეეცვალა. მაძიებელი აზრის ინჟინერ-ტექნოლოგი, მდიდარი გამოცდილების მქონე ახალგაზრდობის დამრიგებელი — ასე იცნობდნენ პაპუშვილს მის გარშემო მყოფნი. მას საპატიო სიგელები, პრემიები, მადლობები და ფულადი ჯილდოები აქვს მიღებული.

1975 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ოლღა პაპუშვილს შრომის ვეტერანის საპატიო წოდება მიენიჭა და რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო გაერთიანების „ელექტროაპარატის“ (რომლის შემადგენლობაშიც 1972 წლიდან პლასტმასის ქარხანა სათაო ქარხნად შეიყვანეს) ტექნიკური ინფორმაციის განყოფილების უფროსად დანიშნეს.

საქმეს იმთავითვე ხალისითა და მონდომებით მოჰკიდა ხელი. ყველას ეხმარებოდა, როგორც დამრიგებელი, მასწავლებელი. განსაკუთრებულ გულისყურს ახალგაზრდობას აპყრობდა. ახალგაზრდა სპეციალისტებს უთმობდა ყოველ თავისუფალ წუთს. მუშებს პროფესიაში ახელოვნებდა, ოსტატებს მანქანა-დანადგართა „ჭირვეულობის“ ტექნიკურ თუ ტექნოლოგიურ მიზეზებში აცნობიერებდა. ყოველდღიურ საქმიანობას შემოქმედებით ძიებას უხამებდა, ხოლო მისი ყოველდღიური ძიების მიზანი საწარმოს „ვიწრო ადგილების“ ანუ ჯერ კიდევ დაუხვეწავი პროცესებისა და საქმიანობის სრულყოფა-განვითარება იყო, რაც საბოლოო ჯამში ძირითადად პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, ეკონომიკურ და ტექნიკო-ტექნოლოგიურ ეფექტიანობაში გამოიხატებოდა.

ამ გზით იარა ოლღა პაპუშვილმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტიდან ინჟინერ-ქიმიკოსამდე. იგი არაერთი ნოვატორული სიახლის ავტორია.

ეს ფუტკარივით მუდამ მოფუსფუსე ადამიანი, ნოვატორი ინჟინერი, ყოველთვის ეძიებს ახალს, პროგრესულს, ხვეწავს ქიმიურ თუ ტექნოლოგიურ პროცესებს, არჩევს უფრო იაფფასიან ქიმიურ ნივთიერებათა რეცეპტურას. საილუსტრაციო დასტურად ასეთი მაგალითიც იკმარებდა: 1974 წელს, იმ ხანად უკვე ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიუროს ხელმძღვანელმა ქალბატონმა ოლღამ სარეცხი მანქანის ჩარჩო, რომელიც აქამდე დეფიციტური და ძვირადღირებული მინაბოჭკოსაგან მზადდებოდა, პოლიეთილენით შესცვალა, რითაც დეტალი ბევრად უფრო მტკიცე და გამძლე გახდა, ხოლო წარმოებამ წლიურად ცხრა ათასი მანეთის ეკონომია მიიღო.

წლები გავიდა. ოლღა პაპუშვილი ის პირველი ვარსკვლავია, რომელსაც „ელექტროაპარატის“ ვერც ხელმძღვანელობა და ვერც მუშათა კოლექტივი ადვილად ვერ შეელია, საიმედო მრჩევლად და კონსულტანტად ჰყავთ მიჩნეული, ხოლო საპატიო დაფაზე მისი სურათი შეუცვლელად ჰკიდია, რამეთუ საქმისადმი ამგვარი გულანთებული ადამიანები ღირსნი არიან ვარსკვლავებივით კიაფობდნენ.

**ნაზი ჭედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაუმ ლაგკოვსკი

# ცუდი მეზობელი

მოთხრობა

გუშინ მაიამ მკითხა:

— ბიძია, რატომ მქვია მაია?

ვერაფერი ვუპასუხე.

დიდრონი ცისფერი თვალებით შემომაცქერდა. ამ მზერაში იმედი და, რაც მთავარია, ჩემი სიბრძნისადმი ისეთი რწმენა გამოსჭვიოდა, რომ მთლად დავიბენი.

— მოდი სხვა რამეზე ვისაუბროთ, — შევთავაზე, — თუ გინდა, მოგიყვები...

—არ მინდა სხვა რამეზე საუბარი, — გაჭირვეულდა მაია, — მინდა გავიგო, რატომ მქვია მაია? შენ არ იცი...

ტუჩები დამცინავად მოეპრუწა. კიდევ ცოტა და იგი სამუდამოდ დაკარგავდა მამაკაცისადმი რწმენას. იმაზე ფიქრიც კი მზარავდა, თუ როგორ იმოქმედებდა ყოველივე ეს მის ბედზე ასე ოცი წლის შემდეგ. რამე უნდა მომეგონებინა სასწრაფოდ.

— ალბათ, იმიტომ, — ჩავეჭიდე პირველსავე წამოტივტივებულ აზრს, —, რომ მაისში დაიბადე...

— არა... — თავი გააქნია მაიამ, — მაისში ზინაა დაბადებული, მე ხომ ნოემბერში დავიბადე.

— აბა, რა განსხვავებაა, — შევნიშნე მე. — მაისშიც და ნოემბერშიც ხომ ვდღესასწაულობთ ხოლმე.

— განსხვავება დიდია, — დამმოძღვრა მაიამ. — მაისში პირველ მაისობას ვზეიმობთ, ნოემბერში კი — დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. ამხელა ხარ და ეს არ იცი?! რაო შინ ტელევიზორი არ გაქვს?

— მაქვს...

— ეტყობა დედა გიშლის, რომ უყურო, — მითანაგრძნო გოგონამ, — ზინასაც ყოველთვის არ რთავენ ნებას, იმიტომ, რომ ტელევიზორის შემყურეს გაკვეთილების მომზადება ავიწყდება და სკოლაში ორიანებს იღებს: შენც ხომ არ იღებ ორიანებს?

— ოდესღაც ვიღებდი, — როგორც იქნა, გამოვტყდი.

— შენც ტელევიზორის გამო?

— მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ტელევიზორი.

— როგორ თუ არ იყო? — გაუკვირდა მაიას. ტელევიზორები ყოველთვის იყო. მაიაკი თუ გაქვს სახლში?

— რა მაიაკი, მაიკო?

— ჩვეულებრივი, რომელიც უკანასკნელ ცნობებს გამოსცემს, უსმინე „მაიაკს“ და ყველაფერი გეცოდინება.

— კარგი, მოვუსმენ ხოლმე.

— აი, ყოჩაღ, რა დამჯერი ხარ! ამიტომაც მიყვარხარ.

მაია მუხლებზე ამომაცოცდა და ლოყაზე მაკოცა.

რა ადვილია, თურმე, ქალის გულის დაპყრობა, თუ იგი ჯერ ხუთი წლისაც არ არის.

— შენი კოცნა შეიძლება, წვერი არ გაქვს გაბურძგნული, — თქვა გოგონამ. — ჩვენთან ერთი ძია დადის, ვიტია ჰქვია, წითური წვერი აქვს. ერთხელ ვაკოცე ლოყაზე და სულ დამეჩხვლიტა ტუჩები.

ესეც ახალი ამბავი!.. როგორც ჩანს, აქ ვიღაც „ძია ვიტია“ დადის. ჩემთვის კი ამის შესახებ არაფერი უთქვამთ.

ეჭვიანობის მლვრიე ტალღამ სხეულში დამიარა. შევბრუნდი. კარგად ისმოდა, თუ როგორ საქმიანობდა ლიდია პეტროვნა სამზარეულოში. უფროსი ქალიშვილი ზინა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო სკოლიდან, ასე რომ, მე და მაია მარტო ვიყავით.

— ძია ვიტია? — შევეკითხე და თან სახეზე სრული გულგრილობის ნიღაბი ავიფარე. — მე რომ არ ვიცნობ, ვინ არის?

— აბა, საიდან გეცოდინებათ. თქვენ ხომ სულ სხვადასხვა დროს დადიხართ.

— აჰა... ხშირად მოდის ხოლმე ეგ ძია? — ვითომ სხვათა შორის ვიკითხე.

— დღეგამოშვებით.

მაია ჩახტა მუხლებიდან. პირდაპირ მდგარ სავარძელში მოიკალათა და ყურადღებით დამაცქერდა. იფიქრა, და მითხრა:

— ძია! შენ არ გითქვამს ჩემთვის, მაია რატომ მქვია.

მაიასათვის უკვე აღარ მცხელოდა. ჟღალწვერიანი „ძია ვიტია“ გონებიდან არ მშორდებოდა.

მას შემდეგ, რაც ლიდია პეტროვნა დაქვრივდა, ხშირად დავდიოდი მათ ოჯახში, როგორც განსვენებული ქმრის მეგობარი. უცოლო გახლდით. მარტოსულობა საშინლად მთრგუნავდა. ლიდია პეტროვნა კი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. ყველაფერი მომწონდა მასშიც და მის სახლშიც. მომწონდა წყნარი, მორიდებული, ათი წლის ზინა, მუდამ პიანინოზე რომ უკრავდა, გიჟმაჟი, ცნობისმოყვარე მაია, გოგოცუნა სერიიდან „მინდა ყველაფერი ვიცოდე“, სულ ფერად ფანქრებს რომ დაატარებდა და არაფერს არ ტოვებდა დაუხატავს. დიდი იმედი მქონდა, რომ შევძლებდი ორი მარტოხელა სულის შეერთებას.

ჩემი თავი ამ ოჯახისათვის ახლობელ და საჭირო პიროვნებად მიმაჩნდა. და უცებ, თითქოს მეხი გავარდაო, ისე გამოტყვრა ეს უცნობი — „ძია ვიტია“ თავისი ჟღალი კბენია წვერით. თურმე, დღეგამოშვებით დადის აქ. თუმცა, მეც ასე არა ვარ? მე კენტ რიცხვებში დავდივარ ლიდია პეტროვნასთან. გამოდის რომ ჟღალწვერა ლუწ რიცხვებში აბედნიერებს ამ ოჯახს. ეს ამბავი დისპეტჩერიზაციას წააგავს. ნუთუ ჩემი საოცნებო არსება ასე ულირსად მეთამაშება?..

მაინც, რა შესძლებია ეჭვიანობას! მყისვე დავსახე სამოქმედო გეგმა.

— რომელ საათზე მოდის ხოლმე ძია ვიტია? — რაც შეიძლება გავინაზე ხმა.

— ზინოჩკა რომ ბრუნდება სკოლიდან.

მაიამ შემომხედა და ამ შემთხვევაში რაღაც დაინტერესება შევამჩნიე.

— შენც გინდა გასინჯო, რომ იკბინება მისი წვერი?

— თუ გინდა, ვთხოვ, რომ წვერი გაიპარსოს.

— ჩემთვის სულერთია, — ჩაიცინა მაიამ თავისთვის.

— ვითომ რატომ?

— აღარ მიყვარს და იმიტომ. ახლა შენ მიყვარხარ...

ამ სიტყვებმა შემაძრწუნა, ვიფიქრე, ამგვარი მერყეობა და ცვალებადობა დედისაგან მემკვიდრეობით ხომ არ მიიღო-მეთქი.

ასე... ზინა სკოლიდან დღის პირველ საათზე ბრუნდება ხოლმე. ჩემს ბლოკნოტში ჩავიხედე. ხვალ მორიგეობა მიწევს სამსახურში. თუმცა პირველ საათზე სასადილო შესვენება გვაქვს და სწორედ მაშინ შევძლებ გამოქცევას. ბლოკნოტი ხელში ავათამაშე, მერე ვითომ შემთხვევით ძირს დავაგდე და ფეხით სავარძლის ქვეშ შევაცურე.

შემოვიდა ლიდია პეტროვნა. სუფრა შემოიტანა და ოვალურ სასადილო მაგიდას გადააფარა.

— მაიამ, ალბათ, დაგღალათ თავისი შეკითხვებით, — გაიღიმა მან.

— დიახ, ჩვენ აქ რაღაც-რაღაცეები გავარკვიეთ.

თავაუწევლად ვლაპარაკობდი. ეჭვიანობისაგან ყურები მიწიოდა. მეგონა, თავი რომ ავწიო, ლიდია პეტროვნას გვერდით მაშინვე ჟღალწვერასა და თავდაჯერებულ ფიზიონომიას დავინახავ-მეთქი.

— ახლა კი ვისადილოთ, — თქვა ლიდია პეტროვნამ და საათს დახედა, — ზინას მოსვლამდე ფლავიც მოიხარშება.

— რატომ მიდიხართ?

— სამ საათზე სამეცნიერო კონფერენციაა დანიშნული, — მაშინვე ცოცხალი ტყუილი მოვიგონე.

— ძალზე ვწუხვარ...

მაიას ვაკოცე, დედამისს კი ჩვეულებრივზე უფრო ცივად დავემშვიდობე.

— ხვალამდე, — დაიჭყლოპინა მაიამ.

— ხვალამდე კი არა, ზეგამდე, შეუსწორა დედამ. ხვალ ძია კოლია მორიგეობს.

ქუჩაში გამოვვარდი. ვგრძნობდი, თუ რა ძალუმად მიჩქეფდა სისხლი საფეთქლებში. კარგი ბატონო, დავუშვათ, შეცდა გოგონა! ეს შესწორება რაღა საჭირო იყო? ალბათ, ჩემს გასაგონად თუ თქვა, რომ არ შემშლოდა... კეთილი!.. მაგრამ... ვნახოთ, ვინ უფრო ეშმაკი აღმოჩნდება...

... მეორე დღეს ზუსტად ორის ნახევარზე ლიდია პეტროვნას ბინის წინ ვიდექი და ზარს ვრეკავდი.

— თქვენ?! — შესძახა ჩემმა მტანჯველმა. ვერ გავარკვიე, ამ შეძახილში გაკვირვება სჭარბობდა თუ სიხარული... — მაიკო, მაიკო, მოდი, ნახე, ვინ მოვიდა!

— მაპატიეთ, ასე მოულოდნელად რომ გაწუხებთ, — ძლივს წავილუღლუღე და, ჰოი, საოცრებავ, მყისვე დამეკარგა ასე საგულდაგულოდ დალაგებული აზრები, — ბლოკნოტი დამრჩა თქვენთან.. უმისოდ ხელფეხშეკრული ვარ...

— აჰა, შენი ბლოკნოტი, მითხრა წინკარში შემოსულმა მაიამ. — ნეტა რას ჩურთავდი სავარძლის ქვეშ!

კინაღამ დავიწვი სირცხვილისაგან.

ლიდია პეტროვნამ შეუსწორა:

— ძია კოლიამ კი არ „შეჩურთა", არამედ დაუვარდა.

— წავალ, ახლა, — წავიბურტყუნე ჩუმად. — გმადლობთ... მაპატიეთ... რაღაც უხერხულად გამომივიდა... დღეს ხომ ჩემი დღე არ არის.

— შენი დღეა, შენი... — აჭყლოპინდა მაია და თან ჩემი ლაბადის სახელოს ჩაეჭიდა.

— დარჩით, — მითხრა ლიდია პეტროვნამ და აღერსიანად შემომხედა. რაღაც განსაკუთრებული ძალა ჰქონდა ამ გამოხედვას, — ძალიან გაახარებთ მაიკოს. სხვათა შორის, თქვენი ფლავი მაცივარში...

იგი სამზარეულოში გავიდა.

მაიამ ლაბადა გამაძრო.

სასადილო ოთახიდან მამაკაცის დაბალი ხმა შემომესმა:

— ზინოჩკა, შენ რა, კიდევ გინდა დედა გაანაწყენო...

კარების ღრიჭოდან ულალწვერა გიგანტი დავინახე. სავარძელში გაშხლართულიყო. ლაბადას ისევ დავტაცე ხელი, თითქოს წყალწაღებული ვიყავი და ხავსს ვეჭიდებოდი. მაგრამ მაიამ სახელოს სტაცა ხელი.

— ერთი, ორი და სამი, და, ოთხი. — დაიგრგვინა ბანმა სასადილო ოთახიდან.

— არა, ზინა, აქ პაუზები მეთექვსმეტეს შორის არის, შენ კი, როგორც რვიანებს, ისე უკრავ. ნუთუ ასე ძნელია დამახსოვრება? ზუსტად დაუკარი, ისე იყლერებს, როგორც დაბნეული მძივი...

და ულალწვერა მოულოდნელად ამღერდა:

— ერთი, ორი და, სამი და, ოთხი.

„მუსიკის მასწავლებელი ყოფილა", — როგორც იქნა, მივხვდი პრიმიტიულ ჭეშმარიტებას და მეორედ დავიბადე, ღმერთო ჩემო! კინაღამ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი! აკი ამბობენ, ეჭვიანობა ცუდი მრჩეველიაო.

— მე ვიცი, რატომ შეჩურთე ბლოკნოტი სავარძლის ქვეშ, — მითხრა მაიამ და ეშმაკურად გაიღიმა, — გინდოდა გენახა, თუ რას ჩაგიხატავდით შიგ.

გადავშალე ბლოკნოტი და მუხლი მომეკეცა. ყველა ფურცელი ფერადი ფანქრებით ისე აეჭრელებინა, რომ ვერცერთი ტელეფონის ნომერი ვერ გავარჩიე!

— შენთვის დავხატე, — მითხრა მაიამ. მისი პატარა სახე შემოქმედებით სიხარულს გაეცისკროვნებინა, — ს ა ხ ს ო ვ რ ა დ ...

თარგმნა **ზაალ გოტკოველმა**



მანანა ზარიძის ნახატი.

# არდავიწყება ღვაწლისა

იმ შორეულ წლებში, როცა ჩამორჩენილ სოფლებში სიბნელე და სიდუხჭირე სუფევდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინტელიგენციის მხარდაჭერას. სოფლად მცხოვრები ინტელიგენციის ნაწილი დიდ თანაგრძნობასა და დახმარებას უწევდა გლეხობას.

ჩემს პატარა სოფელ სამთავისშიც (კასპის რაიონი) ცხოვრობდა განათლებული მასწავლებლის ნინო ასათიანი-ილურიძის ოჯახი. მასზე და მის შვილებზე — ბაგრატზე, ელენესა და ქეთევანზე შეიძლება დაიწეროს დიდი მოთხრობა.

ამ წერილში მკითხველს გვინდა გავაცნოთ ნინო მასწავლებლის უმცროსი ქალიშვილი ქეთევან ილურიძე, რომელმაც ნათელი კვალი დასტოვა როგორც გლეხობაში, ასევე ჩემი თაობის ხსოვნაში და იმ დიდ მეცნიერებაში, რომელსაც ბოტანიკა ეწოდება.

ქეთევან ილურიძე, გარეგნობით სუსტი, ბუნებით კეთილი და სათნო ქალი, დაიბადა 1901 წელს, ქალაქ გორში, საქართველოში ცნობილი პედაგოგის მიხეილ ილურიძის ოჯახში.

მიხეილ ილურიძე იმ დროისათვის მეტად განათლებული (დამთავრებული ჰქონდა კიევის უნივერსიტეტი) მოწინავე დემოკრატი გახლდათ, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებდა საზოგადოების, ხალხის ინტერესებს, მის ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მაშინდელი ინტელიგენციის ისეთ მოწინავე წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ: ნიკო ლომოური, იროდიონ ევდოშვილი, ივანე მაჩაბელი, სოფრომ მგალობლიშვილი, თედო ჟორდანია და სხვ.

ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო სოფლებში გავრცელებული იყო სხვადასხვა დაავადებები, ხოლო პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ იფეთქა ტიფის ეპიდემიამ. ექიმი იშვიათი მოვლენა იყო სოფელში. მთელ ქვემოჭალის თემს ერთი პატარა აფთიაქი და ერთი ფერშალი ემსახურებოდნენ.

ჩვენი სოფლის ექიმიც და ექთანიც ნინო მასწავლებელი და მისი შვილები იყვნენ.

ნინო მასწავლებელი და ქეთევანი დღედაღამ ფეხზე იდგნენ, წამლებსაც შოულობდნენ და ხშირად ავადმყოფებს საჭმელსაც უმზადებდნენ. ბევრი ავადმყოფი დააყენეს ფეხზე და ხალხის პატივისცემა და უზომო სიყვარული დაიმსახურეს. მაშინ ქეთევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო; მაგრამ გაზაფხულიდან შემოდგომამდე ხალხში ტრიალებდა. მახსოვს, მის ჩამოსვლას მზის ამოსვლასავით ელოდნენ სოფელში.

ერთ დღეს ქეთევანმა გამოაცხადა ლიტერატურულ წრეს ვაარსებო. ამ ამბავმა მთელი სოფლის ახალგაზრდობა დააყენა ფეხზე. ქეთევანმა შეარჩია ქართველი მწერლების ნაწარმოებები და თავის ბინაში შეუდგა მეცადინეობას. წრეში ვკითხულობდით ნაწარმოებებს, ვარჩევდით, ვმსჯელობდით. (მახსოვს, როგორი კამათი გაიმართა „სურამის ციხის" გარჩევისას). ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი ახალგაზრდობის განვითარებისათვის.

შემდეგ მან მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა. ყოველ საღამოს სამუშაოდან მოსული გუნდის წევრები სუფთად ჩაიცვამდნენ და ნინო მასწავლებლის ეზოსაკენ გარბოდნენ. იქ დიდი კაკლის ქვეშ იკრიბებოდნენ. საღამოს, როცა გავარვარებული მზე ტირიფონის ველს იქით ჩაწვებოდა, ქეთევანის დირიჟორობით გუნდის საამო სიმღერები ტკბილ ნანასავით ეფინებოდა შრომით მოქანცულ სოფელს.

გუნდის მეცადინეობას დრამატიული წრის დაარსება მოჰყვა. ჩვენმა დირიჟორმა ახლა დრამატიული წრის რეჟისორობა ითავა. ჩვენი სოფლის ახალგაზრდებს შეუერთდნენ მახლობელი სოფლის (ქვემოჭალის) სცენისმოყვარეები. წარმოდგენებს ჯერ უფასოდ ვაჩვენებდით, მერე რეჟისორმა ასეთი წინადადება წამოაყენა: ბილეთები გაგვეყიდა და შემოსავალი რუსეთში გაგვეგზავნა დამშეული და უპატრონო ბავშვებისათვის.

ჩვენი თეატრალური საქმიანობა ისე გაიზარდა, რომ წარმოდგენებს მარტო სამთავისში და ქვემოჭალაში კი არ ვდგამდით, არამედ მთელი ზემო ქართლის სოფლებს გადავწვდით.

1924 წელს ქეთევან ილურიძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. მისმა პროფესორმა ვასილ ალექსანდროვმა, რომელიც ქეთევანს სტუდენტობის დროს მცენარეთა ანატომიის კურსს უკითხავდა, წაიყვანა ბოტანიკურ ბაღში და პრეპარატორის თანამდებობა ჩააბარა იმ ლაბორატორიაში, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. ქეთევანმა პირველი დღიდანვე მიიპყრო თანამშრომელთა ყურადღება თავისი დაუზარელი მუშაობით. ამ ლაბორატორიაში მუშაობდნენ მაშინ დამწყები და ახლა საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერები: ლევან ჯაფარიძე, ქსენია ცხაკაია, ქეთევან აბესაძე, ევგენია მაკარევსკაია, მარიამ შანიძე, ნადეჟდა ჩახნაშვილი, ნატალია მახარაძე და სხვები.

ალექსანდროვმა, ქეთევანს სხვა ამხანაგებთან ერთად დაავალა საქართველოში ცნობილი ვაზის ჯიშების — რქაწითელისა და საფერავის ანატომიის შესწავლა. ჯგუფმა და, განსაკუთრებით ქეთევანმა, დიდი მუშაობის შედეგად დაადგინეს, რომ ამ ჯიშების ვაზის ფესვები ნაზი აღნაგობისაა და ვერ უძლებს ზოგიერთ დაავადებებს, განსაკუთრებით ფილოქსერას და მიუთითებდნენ, რომ აუცილებელია მათი დამყნობა სხვა ფილოქსერაგამძლე საძირეზე. მათი გამოკვლევა 1929 წელს გამოქვეყნდა და შედეგები საქართველოში მომქმედ აგროწესებში შევიდა.

ქეთევანის კალამს ეკუთვნის 30-მდე მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია 1940-60-იან წლებში ბოტანიკის ინსტიტუტის შრომებში.

სამწუხაროა, რომ ნაადრევად დაიფერფლა ქეთევანის სიცოცხლე. მას კიდევ შეეძლო დიდი სარგებლობის მოტანა ხალხისა და მეცნიერებისათვის, მისი საყვარელი ბოტანიკისათვის.

ნინო ხატისკაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია რურუა

# „იავნანა" — ქართველი ქალის მეხოტბე

საქართველოს ტელევიზიაში კარგა ხნის მუშაობის მანძილზე მოწმე და ზოგჯერ უშუალო მონაწილეც ვყოფილვარ ბევრი სატელევიზიო ჟურნალის დაბადებისა, მაგრამ ზოგი დღემოკლე გამომდგარა ან ცისფერ ეკრანს უფერულად შემორჩენია. მათგან განსხვავებით, ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილად უნდა მივიჩნიოთ „იავნანა", რომლის დიდი აუდიტორია მარტოოდენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებით როდი განისაზღვრება.

ვფიქრობ, ამ სატელევიზიო ჟურნალს, რომელიც უკვე არსებობის 30 წელიწადს ითვლის, სიცოცხლისუნარიანობისა და პოპულარობის იმპულსს უპირველესად ანიჭებს თავად ქალისა და საერთოდ ქალურობის მადლიანი, რომანტიკული იდუმალებით სავსე ფენომენი, რაც თავისთავად მოითხოვს ფაქიზ, შთაგონებულ დამოკიდებულებას. ამიტომ შემთხვევითობად სულაც არ მიმაჩნია, რომ ამ ჟურნალს ტრადიციულად დღემდე გულშემატკივრობენ და აკეთებენ ძირითადად ახალგაზრდა ავტორები, რეჟისორები, შემსრულებლები და ტექნიკური მუშაკები, რომელთაც ჯერაც არ განელებიათ პირველქმნილი მოწიწება ქალი — დედის, ქალი — მეგობრის, იმ არსების მიმართ, რომელიც გვჩუქნის ყველაზე ღრმა და წარუშლელ განცდას პირველი სიყვარულისას.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ „იავნანას" პირველი და უცვლელი რედაქტორის ქალბატონ ნუნუ ხავთასის წვლილი. ყველასათვის საყვარელი ამ პიროვნების საქმიანი თვისებები, ენერგია და ადამიანური მომხიბვლელობა, კომუნიკაბელობა დიდად წაადგა ჟურნალს. იგი შემთხვევით როდი სარგებლობს საერთო პატივისცემით საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობის მრავალათასიან კოლექტივში. ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც ჩაუხედავს ტელეპროგრამების შექმნის სამზარეულოში, კარგად მოეხსენება, რამდენ სირთულესთან, რამდენ პროცესთან არის დაკავშირებული მათი მომზადება. ამის მიუხედავად, მე თქვენ გეტყვით და, ვინმე გაბედავდა თავისი უყურადღებობით და მოშვებულობით ოდნავ მაინც შეეფერხებინა ჟურნალის მომზადების პროცესი. არც ის მსმენია, რომელიმე საზოგადო მოღვაწეს, მწერალს ან ხელოვნების მსახურს, რა მაღალი რეგალიისაც უნდა ყოფილიყო იგი, უარი ეკადრებინოს ჩვენი ნუნუსათვის და ჟურნალი თავისი მონაწილეობით არ დაემშვენებინოს.

უსამართლობა იქნება — „იავნანას" არსებობის მრავალ თარიღთან დაკავშირებით მადლიერება არ გამოვხატოთ ქალბატონ ივლიტა მესხიშვილისადმი, რომელსაც ყოველთვის ჩრდილში დგომა უყვარს. ეს გონებანათელი, სათნო პიროვნება მთელ თავის ნიჭს, გამოცდილებასა და ენერგიას უშურველად ახმარს ქართულ ტელევიზიას. რჩევასა და ყურადღებას არც „იავნანას" აკლებს.

შეუძლებელია, მადლიერება არ გამოვხატოთ კიდევ ერთი ნიჭიერი ჟურნალისტისადმი — ლილი გერაშვილისადმი, რომელიც დიდი ხანი არაა რედაქციაში მოვიდა, მაგრამ მან ჟურნალი უფრო საინტერესო გახადა, გაამდიდრა ახალი სახეებითა და რუბრიკებით.

როცა ამ სატელევიზიო ჟურნალის სიცოცხლისუნარიანობასა და პოპულარობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს მთავარზე მთავარი — ქართველი ხალხის ტრადიციული, კულტის დონემდე აყვანილი დამოკიდებულება ქალისადმი. თუნდაც ამის გამო საქართველოში ძნელია ქალზე წერა, მით უმეტეს ჟურნალის შექმნა, სულერთია, ბეჭდური იქნება თუ სატელევიზიო, ყველას, ვინც საამისოდ მოიმარჯვებს კალამს, ფუნჯსა თუ საჭრეთელს, მართებს ღრმად ჩაიხედოს ქართველი ქალის სულში, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და იწრთობოდა ისტორიულ ქარიშხლებსა და კატაკლიზმებში. მსოფლიოში, ალბათ, არც ისე ბევრი აღმოჩნდება ერი, რომლის ისტორიაშიც ქალს ისეთი განსაკუთრებული როლი შეესრულებინოს, როგორც ეს საქართველოს სინამდვილეში მოხდა. თავისთავად უნიკალურად გამოიყურება ის, რომ გმირული მამაკაცური საწყისით სახელგანთქმულ ხალხს თავისი ქვეყნის მფარველად ქალი აერჩიოს, რწმენის სიმბოლოს აზიდვაც ქალისათვის დაეკისრებინოს, სანახევროდ გონებრივ წყვდიადში ჩაძირულ შუა საუკუნეებში ქალი სამეფო ტახტზე დაებრძანებინოს და მისთვის მეფემზე ეწოდებინოს. მამულისა და რწმენისათვის თავგანწირული რამდენი ქალის სახელი შეუმოსავს ჩვენს ხალხს წმინდანის შარავანდედით. ყოველ დროსა და ხანაში ქართველი ქალი იყო ბურჯი და ზნეობრივი ფარი ეროვნული შეუვალობისა, ოჯახური კერიის ჩაუმქრალობისა, მისი მფარველი კეთილი ანგელოზი, აკვნის დამრწევი და დაუღლელი მაშვრალი...

ჩვენს დროში, როდესაც ქალის ემანსიპაციამ ძალზე ფართო ხასიათი მიიღო, როცა მისი შრომისა და მოღვაწეობის ასპარეზი განუზომლად გაფართოვდა, სამწუხაროდ, რამდენადმე მეორე პლანზე გადანაცვლებული აღმოჩნდა მთავარზე მთავარი, რითაც ქალი ბუნებას დაუჯილდოებია და რასაც იგი პირველ რიგში უნდა ახმარდეს თავისი სულის შუქსა და გულის სიკეთეს. ნურც იმას დავმალავთ, რომ დღევანდელ საზოგადოებაში აშკარად გაუხეშდა ქალისადმი დამოკიდებულება და ზოგიერთს არაფრად უღირს დაამციროს, დაამდაბლოს მისი ღირსება. ამიტომ ქართველი კაცი, თუ ის ნამდვილად ქართველია და თან ვაჟკაცური, ვერ დაუშვებს, ვერ შეურიგდება ამგვარ მდგომარეობას, რადგან ქალისადმი რაინდული მოწიწება ჩვენი ეროვნული ხასიათის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი იყო ყოველთვის. ამდენად, ჩვენი ვალია კვლავ ადრინდელ უფლებებში აღვადგინოთ ქალური ღირსება, ისევ კვარცხლბეკზე ავამაღლოთ ქალი — დედა, დაი, მეუღლე.

სატრფო — რათა მთელი სისრულითა და სისავსით გამოჩნდეს მისი სულიერი ძალა და სიმშვენიერე, რაც სულაც არ დაშრეტილა და გაფერმკრთალებულა.

განა ამის ნათელი დადასტურება არ გახლავთ მსხვერპლი, რომელიც ავად მოსაგონარ 9 აპრილს გაიღო ქართველმა ქალმა სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის?! თავისთავად სიმბოლურად და ნიშანდობლივად გვეჩვენება, რომ ამ ზვარაკის გაღება მოხდა სინათლისა და სიბნელის შესაყარზე, როცა ღამის იდუმალ ბინდში სადღაც იბადებოდა განთიადის პირველი შუქი, როცა მოახლოებული აისის შესახვედრად ყელმოღერებული ნორჩი ასულის, ფეხმძიმე ახალგაზრდა ქალის თუ თმაგათეთრებული მოხუცი დედის არსება მიყურადებული იყო ერის გულის ფეთქვას, მოლოდინერებული იმედის ხორცშესხმის მოლოდინს. მათ კი სიცოცხლე მოუსწრაფეს ვანდალური დაუნდობლობით.

გონებას არც კი ძალუძს წარმოიდგინოს სხვა ამგვარი ზვარაკი, რომელსაც შეეძლებოდა მთელი ხალხის ერთიანად შეძვრა, გამოფხიზლება და ერთ მუშტად შეკვრა. და ეს ისტორიული მისია შეასრულა ქართველმა ქალმა, რომელმაც ამით კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი სულის სიდიადე. თუნდაც ამის გამო სავსებით სამართლიანი იქნება თუ იმათ, რომლებიც დღეს თავიანთი ფიქრითა და საქმით ემსახურებიან დამოუკიდებელი, ამაყი საქართველოს მომავალს, უმორჩილესად ვთხოვოთ: ვიკმაროთ ეს მსხვერპლი, კვლავ ნუ დავაკისრებთ შიმშილობითა და მჯდომარე დემონსტრაციებში მონაწილეობით ჩვენთან თანადგომის ტვირთს ქალს, გავუფრთხილდეთ სიცოცხლის ყოველ დამბადებელს, რადგან საქართველოს თუ უღირს, ახლა უღირს ყოველი სრულფასოვანი შვილი.

მაშ კვლავ და კვლავ განვადიდოთ ქართველი ქალი!

ეჭვი არ გვეპარება, რომ „ივანანა“ კვლავაც ღირსეულად წარმოაჩენს ცისფერ ეკრანზე იმ თავდადებულ შრომას, ამაგსა და შემართებას, რასაც ქართველი ქალები იჩენენ ჩვენი საყვარელი ქვეყნის, მისი ეროვნული ბალავარისა და კერიის გასამაგრებლად. ყველაფერ ამას ხომ ჩვენს დღეებში, ჩვენს თვალწინ აკეთებენ სვანი, აჭარელი თუ მესხი დედები, რათა მთელ ჩვენს მამულში კიდითკიდემდე ხმიანობდეს ენა ქართული, მაგრობდეს ჩვენი ჯიში და მოდგმა, ერთიანი და განუყოფელი იყოს ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი.



ვესაუბრებით ჩვენს მოსკოველ თანამემამულეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზაირა გრიგოლის ასულ ქადაგიძეს

# ყველა ქალი დიდხანს იცოცხლებს, თუ...

იგი ქ. მოსკოვში დაიბადა. მამა, გრიგოლ ქადაგიძე ყოველთვის პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა. როდესაც ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, ზაირა 11 წლისა იყო და საშუალო სკოლაც აქ დაამთავრა. სკოლის შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. იმ წლებში ზაირას დედა კიბოთი გარდაეცვალა. მწუხარებამ გადააწყვეტინა ამგვარი სნეულებით დაავადებულთათვის არა მხოლოდ შვება მოეტანა, არამედ ებრძოლა მათი სიცოცხლის გადასარჩენად. ასპირანტურა ქ. მოსკოვში დაამთავრა და მაშინვე მიიწვიეს ონკოლოგიის საკავშირო-სამეცნიერო ცენტრში სამუშაოდ. 34 წლისამ უკვე სადოქტორო ხარისხი მიიღო. დღეს მას იცნობენ არამარტო კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. მასთან შეხვედრა ნაწილობრივ ამანაც განაპირობა.

— ქალბატონო ზაირა! გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ ონკოლოგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის შესახებ.

— საკავშირო-სამეცნიერო ცენტრი ოთხ ინსტიტუტს აერთიანებს. მეოთხე — ახლახანს შეიქმნა და მას ბავშვთა ონკოლოგიური ინსტიტუტი ეწოდება. ადრე ექიმებში გავრცელებული იყო აზრი, რომ სიმსივნე ბავშვებში იშვიათად ჩნდებოდა. აზრი მცდარი იყო, რასაც ზემოხსენებული ინსტიტუტის ჩამოყალიბება ადასტურებს. აქვე დავძენდი, რომ ამ სნეულებით შეპყრობილი ბავშვები უფრო იოლად განიკურნებიან.

ჩვენს სამეცნიერო ცენტრში კიდევ სამი ინსტიტუტია: კლინიკური ონკოლოგიის 1000 საწოლი ადგილით, კანცეროგენეზისა, სადაც ცხოველებზე ცდებს ატარებენ და რომელსაც ხელმძღვანელობს დავით ზარიძე და ექსპერიმენტული დიაგნოსტიკური თერაპიისა. მე კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის რადიოიმუნოლოგიის კლინიკური ლაბორატორიის გამგე ვარ. ჩვენს ლაბორატორიაში ისინჯება სისხლი, რომლის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მიგვანიშნებს სიმსივნის არსებობაზე. ავადმყოფები, რომელთაც ადრე გაუკეთდათ ოპერაცია და შემდეგ ჩაუტარდათ ქიმიური მკურნალობა, პირველი ორი წლის მანძილზე სისხლის გასასინჯი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

ბოლო წლებში საკმაოდ განვითარდა ახალი დარგი — იმუნოთერაპია, რომლის მიზანია წამლების საშუალებით გააძლიეროს ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა ავადმყოფობის წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს გზა მკურნალობის დაწყებაში პირველად მნიშვნელობას იძენს. ალბათ სწორედ ამიტომ ამ დარგს სადღეისოდ მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს უდგინდება დარღვევები იმუ-

ნურ სისტემაში, ოპერაციის შემდეგ მას ეძლევა პრეპარატები, რათა ორგანიზმში გაძლიერდეს იმუნური პასუხი. ამ ჯგუფის პრეპარატებს მიეკუთვნებიან ინტერფერონი, ტაქტივინი, ვიტამინების კომპლექსი და სხვა ბიოლოგიური წამახალისებლები (სტიმულიატორები). საზღვარგარეთ, უკანასკნელ ხანს, აქტიურად დაიწყეს ინტერლეიკინი 2-ის გამოყენება, რომელმაც დაავადების მიშვებულ სტადიაშიც კი გარკვეული სასურველი შედეგები გამოიღო. ინტერლეიკინი—2-ით მკურნალობაზე გამოკვლევები ჩვენს ინსტიტუტში უკვე დაწყებულია, მაგრამ ჯერჯერობით იგი ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ეს პრეპარატი წარმატებებთან ერთად გართულებებსაც იძლევა. ამდენად, მისი პრაქტიკული გამოყენება მიმდინარეობს გულდასმითი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ: შეისწავლება, თუ რომელი ორგანოს სიმსივნის დროს რა რაოდენობის წამალი იძლევა უფრო სასურველ შედეგს. ამჟამად იგი, ძირითადად, გამოიყენება თირკმელის სიმსივნის დროს და ავთვისებიანი მელანომის შემთხვევებში, ამასთან პარალელურად მუშავდება პროგრამები სხვა სახის შემთხვევებში მისი გამოყენებისათვის, მაგალითად, ფილტვების კიბოს დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ბოლო დროს ფილტვების კიბოთი დაავადებულთა რიცხვი მთელს მსოფლიოში იზრდება, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. უმრავლეს შემთხვევაში ქირურგები ახერხებენ ამ სიმსივნის მთლიან ამოკვეთას, მაგრამ — 6 თვის ან 1 წლის შემდეგ დაავადება ბრუნდება და მასთან ბრძოლა ძნელდება. ასეთ დროს ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ ორგანიზმს ებრძოლოს სიმსივნურ პროცესს ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის იმუნიტეტის, ე. ი. წინააღმდეგობის გაძლიერების გზით. წინა დროისაგან განსხვავებით, ინტერლეიკინი—2-ის გამოყენება ამჟამად ხდება უშუალოდ ოპერაციის შემდეგ, და არა დაავადების უკანასკნელ სტადიაში, როგორც პროფილაქტიკური მეთოდის საშუალება. ეს მეთოდი ამცირებს ასევე წამლის დოზებსაც.

მუშავდება, აგრეთვე, სიმსივნეთა მკურნალობის ახალი იმუნოლოგიური მეთოდები, რომელთაგან მეტნაკლებად საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ მონოკლონალური ანტისხეულების (ისინი წარიმართებიან სიმსივნური უჯრედის სპეციფიკურ ანტიგენზე) მეთოდის გამოყენება ქიმიურ პრეპარატებთან ერთობლიობაში. ამ მეთოდს „ჯადოსნური ტყვიის" მეთოდს უწოდებენ, ვინაიდან ამ გზით ქიმიოპრეპარატი უშუალოდ სიმსივნეში ხვდება. გარდა ამისა, მცირდება პრეპარატის საჭირო რაოდენობაც, რაც არ გამოიწვევს ტოქსიკურ რეაქციებს. ეს მიმართულება გამოცდის სტადიაშია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ხუთიოდე წლის შემდეგ დამკვიდრდება კლინიკურ პრაქტიკაში.

რა თქმა უნდა, იმუნოთერაპიას შეუძლია დაეხმაროს ავადმყოფს, მაგრამ მკურნალობის ძირითად მეთოდებად მაინც რჩება ქირურგიული, სხივური და ქიმიოთერაპიული.

— საინტერესოა, რა კავშირურთიერთობაა მსოფლიოს ქვეყნებს შორის ამ დაავადებასთან ერთობლივი ბრძოლის თვალსაზრისით, კერძოდ კი, ჩვენი ქვეყნის გათვალისწინებით?

— საკავშირო სამეცნიერო ონკოლოგიური ცენტრის ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან ყოველწლიურად ფართოვდება. ონკოლოგიური ცენტრის არაიშვიათი სტუმრები არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას ლექციების სახით გვიზიარებენ. ჩვენც ხშირად ჩავდივართ მათთან, ვხვდებით ერთმანეთს მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებებზე. მოგეხსენებათ, ურთიერთობისას დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ენის ცოდნას, ამიტომ ჩვენთან, ონკოლოგიურ ცენტრში, გაიხსნა სპეციალური კურსები, სადაც ეუფლებიან უცხო ენას და გამოცდასაც კი აბარებენ.

გასულ წელს, აშშ-ში ყოფნისას ჩვენ მიგვიღო სენატორმა ედუარდ კენედიმ, რომელიც სამედიცინო საკითხებს განაგებს. მის ოჯახში ონკოლოგიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება სუფევს. ამის მიზეზი ალბათ მისი ვაჟი, უმცროსი ე. კენედია. 12 წლის ასაკში მას ჰქონდა ფეხის სარკომა და წარმატებით იქნა განკურნებული. სენატორმა ე. კენედიმ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ურთიერთობის განვითარებას, ცხოველ თანამშრომლობას ონკოლოგიის სფეროში.

გარდა აშშ-ისა, ცენტრი თანამშრომლობს აგრეთვე საფრანგეთის, გფრ-ის და სოციალისტური ქვეყნების ონკოლოგიურ ინსტიტუტებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ კიბოთი დაავადებულთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში უფრო მცირეა, ვიდრე აშშ-ში, მაგრამ იგი მაინც იზრდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ დაავადებასთან ბრძოლა აქტიურად მიმდინარეობს. სატელევიზიო გადაცემებით, რადიოთი გამუდმებით ტარდება საუბრები იმაზე, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს საკუთარ თავზე დაკვირვება იმ მიზნით, რომ დროულად გამოვლინდეს ეს სნეულება, რა სახის პროფილაქტიკა უნდა ჩაიტარონ. მოსახლეობის ამგვარი მობილიზება უდაოდ მისაბაძია. გარდა ამისა, სამსახურში მიღებისას სავალდებულოდ არის მიჩნეული და დაწესებული ცნობის წარდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა მოქალაქეს სიმსივნე.

სადღეისო სტატისტიკა მეტყველებს, რომ მთელ მსოფლიოში მატულობს ფილტვის კიბოთი დაავადებულთა რიცხვი. ამ მაჩვენებლის ზრდას ხელს უწყობს სიგარეტის წევის მავნე ჩვევა როგორც მამაკაცებში, ასევე, სამწუხაროდ, ქალებშიც, და რაც უფრო სავალალოა — ახალგაზრდებსა და მოზარდებში. იმატა სისხლის კიბოთი დაავადებულთა რიცხვმაც. მართალია, დაავადებულთა 50-60 პროცენტი იკურნება, მაგრამ ეს თვითდამშვიდებისათვის მცირე პროცენტია.

— ქალბატონო ზაირა! მოგეხსენებათ, ჩვენი ჟურნალის ძირითად მკითხველებს ქალები წარმოადგენენ. მათ აინტერესებთ, რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება სიმსივნის თავიდან აცილება?

— თავდაპირველად მათ უნდა უყვარდეთ ექიმთან მისვლა. თუ წელიწადში ორჯერ ყველა ქალი გაესინჯება სპეციალისტს (გინეკოლოგს), მერწმუნეთ, რომ ისინი ღრმა სიბერემდე იცოცხლებენ. როგორც სარძევე ჯირკვლების, ასევე საშვილოსნოს კიბო შეიძლება ავიცილოთ, თუ თავს დროულად მივხედავთ. ამჟამად გაადვილებულია ძუძუს კიბოს მკურნალობა. მისი მოკვეთა აღარ არის საჭირო. კეთდება ე. წ. მცირე ოპერაცია, (გასერვა) და ქალს უნარჩუნდება როგორც მკერდი, ასევე ჯანმრთელობა. ამიტომ მოვუწოდებ ყველა ქალს, გათხოვდნენ, იყოლიონ ბევრი შვილი, აწოვონ მათ ძუძუ და სიმსივნე ახლოსაც არ გაეკარებათ. ამას ადასტურებს შუა აზიისა და სხვა მაჰმადიანური ქვეყნების მაგალითი.

კიბოს პროფილაქტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი ყაიდით ცხოვრებას. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ურჩევს ყველას: არ მოწიონ თამბაქო, შეამცირონ ალკოჰოლის მიღების ოდენობა, ჭამონ როთულბოჭკოვანი საკვები, ხილი (განსაკუთრებით ნარინჯისფერი), თვალყური ადევნონ საკუთარი სხეულის წონას — არ მოიმატონ, განსაკუთრებით 40 წლის შემდეგ.

ესაუბრა ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქველმოქმედება გრძელდება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1989 წლის 2 აგვისტოს მიიღო დადგენილება სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის გარკვეული შეღავათების დაწესების თაობაზე.

როგორ ხორციელდება ეს დადგენილება ხონის რაიონში?

გვესაუბრება ამ რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ზინაიდა ბენდელიანი:

1989 წლის 13 სექტემბერს ჩატარდა ქალთა რაიონული საბჭოს გაფართოებული სხდომა. აღნიშნული დადგენილება გაეცნო სხდომის მონაწილეებს, ჩამოსახლებულ აჭარელ დედებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

ჩვენს რაიონში 350 ოჯახია ჩამოსახლებული. ისინი ძირითადად მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. გამოყოფილია მიწის ნაკვეთები. ახალმოსახლეთა მცირე ნაწილმა ინდივიდუალური სახლები აიშენა. უმრავლესობა კი შეკეთებულ, მაგრამ მაინც შრომა-გასწორების კოლონიის ყოფილ ბინებში ცხოვრობს.

აღირიცხა მრავალშვილიანი ოჯახები. ქალთა საბჭოს წევრები ეწვივნენ დაზარალებულთ, გადასცეს ბავშვებისათვის ტანსაცმელი, საოჯახო ჭურჭელი და სხვა პირველადი მოხმარების საგნები. დასახლება უზრუნველყოფილია პრესით, ჩამოსახლებულთათვის შექმნილია ცხოვრების ნორმალური პირობები.

რაიკომის მდივნის ნორა მამფორიას და განათლების განყოფილების გამგის ჯემალ ჩხენკელის თაოსნობით ხონში გაიხსნა ორი საშუალო სკოლა და ორი საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლებიც დაკომპლექტდა ჩამოსახლებული აჭარელი მასწავლებლებით.

ექიმთა ერთი ჯგუფი სისტემატურად ამოწმებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. მომავალში დაგეგმილია მოძრავი რენტგენის ადგილზე შეყვანაც.

მოწესრიგდა ავტობუსების მოძრაობა. რაიკოოპერატივს ეთხოვა, რომ ჩასახლების ადგილებზე მოაწყონ დამატებითი ვაჭრობა, შეიტანონ პირველადი მოხმარების საგნები, ბოსტნეული, ხილი, პროდუქტები.

დავუკავშირდით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც შეფობას უწევენ დაზარალებულთ. შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო კონტროლის გაძლიერების მიზნით.

ვაპირებთ რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში შევხვდეთ ხალხს და ვთხოვოთ რომ თითოეულმა სოფელმა შეფობა გაუწიოს ათს ან მეტ დაზარალებულ ოჯახს.

გვინდა შევქმნათ ქალთა საბჭოს სახელზე სპეცანგარიში. ჩვენს სურვილს მხარი დაუჭირა რაიონის ხელმძღვანელობამ და ბანკის მმართველმა.

რაც შეეხება იმ თანხას, რომელიც ქალთა საბჭოებს გამოუყვეს, ასე განაწილდა — შევიძინეთ აჭარელი ბავშვებისათვის სასკოლო ინვენტარი, ავიყვანეთ ერთი მუშაკი ნახევარ განაკვეთზე, დანარჩენი თანხა კი ღონისძიებების ჩატარებას მოხმარდა.

მიმდინარე ეტაპზე ძალზედ გააქტიურდა ქალთა საბჭოების მუშაობა. საქველმოქმედო საქმიანობაში ხონელი ქალები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

მიუხედავად რაიონის ხელმძღვანელობის, შრომითი კოლექტივების, თვითონ ხალხის აქტიური დახმარებისა, გვაქვს სიძნელეებიც. ზოგიერთ დასახლებაში განიცდიან ელექტროენერგიის, წყლის, გაზის, სათბობსაწვავის ნაკლებობას, დროულად არ აწვდიან საშენ მასალებს. აუცილებელია უახლოეს ხანში ყოველივე ეს მოწესრიგდეს.

დიდი სურვილი გვაქვს ჩამოსახლებულთა სასარგებლოდ შემდეგი საკითხები მოგვარდეს:

გავრცელდეს დაზარალებულთათვის შეღავათები ბანკიდან მიცემული სესხის შემთხვევაში — არ გადაიხადონ პროცენტები.

სტიქიურ უბედურებათა დახმარების ფონდიდან ხონში გადმოირიცხოს აქ ჩამოსახლებულ აჭარელთათვის დასახმარებელი თანხა.

ტერიტორიაზე, სადაც ახლა აჭარლები ცხოვრობენ კვლავ მოქმედებაშია შრომა-გასწორების (1000 კაცამდე) კოლონია. მისი იქ ყოფნა გარკვეულ დაღს დაასვამს მოზარდთა აღზრდას, ამიტომ კოლონია უნდა გადავიდეს სხვაგან, განთავისუფლებული ტერიტორია კი მოხმარდეს სასკოლო და სპორტულ მშენებლობებს.

**ოლია რევია**





# მეამბოხე კინოვარსკვლავი

მსოფლიოს კინოვარსკვლავ ჯეინ ფონდაზე ისე ბევრია დაწერილი, რომ უკვე ყველასათვის ცნობილია ეს სახელი. მომხიბლავ, ენერგიულ, ნებისყოფიან ქალზე, ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობის ჰენრი ფონდას ქალიშვილზე ლეგენდების მოყოლა შეიძლება.

ბავშვობისას ჯეინი თავისი მიზანსწრაფვით აოცებდა ახლობლებს. სახელგანთქმული მამის დახმარების გარეშე მოახერხა ჰოლივუდში დამკვიდრება. იგი თვითონ მივიდა სახელოსნოში ლი სტრასბერგთან, რომელსაც ნიუ-იორკში დამსახურებულად უწოდებდნენ „სტანისლავსკის სისტემის მქადაგებელს“. თავს არ იზოგავდა, ისე მეცადინეობდა. მაგრამ მემანეკენედ მუშაობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი წარმატების გამო მეცადინეობა მიატოვა. მისი ლამაზი სახის წყალობით ჯეინი მიიწვიეს კინოში გადასაღებად. ერთხანს მცირე, მაგრამ შესამჩნევ როლებს ასრულებდა. მალე მას ყურადღება მიაპყრო ცნობილმა „ქალთა ოსტატმა“, რეჟისორმა ჯორჯ კიუკორმა, რომელმაც შექმნა შესანიშნავი ფილმები ჯუდი გარლანდის, გრეტა გარბოს, ქეთრინ ხებერნის, ანა მანიანის მონაწილეობით. ჯეინ ფონდას პოპულარობა სწრაფად იზრდება. მან მიიღო ცნობილი ფრანგი რეჟისორის როჟე ვადიმის მიწვევა და კიდეც გაემგზავრა საფრანგეთში. ამის შემდეგ ბევრგან მიიწვიეს... ჯეინი გახდა სუპერვარსკვლავი.

იმ მომენტში, როცა თითქოს, წინ ულრუბლო მომავალი და ბრწყინვალე კარიერა ელოდა, მისი ბედი მკვეთრად შეცვალა სიდნი პოლაკის ფილმმა „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს“, რომელშიც იგი ასრულებს თავის პირველ სერიოზულ როლს. დიდი წარმატების მქონე, ნიჭიერი, მილიონერი მსახიობი უეცრად აღმოაჩენს, რომ ქვეყანაზე მრავალი პრობლემა არსებობს. ჯეინი ხდება საზოგადო მოღვაწე და აქტიურად მონაწილეობს 60-70-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლაში „ბინძური ომის“ წინააღმდეგ ვიეტნამში. ეწყობა მისი ნამდვილი დევნა, კონგრესში გაისმის მოთხოვნის ხმები — მისი, როგორც სახელმწიფო მოღალატის დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ. მაგრამ ჯეინის დაშინება არც ისე ადვილია.

სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში იგი მონაწილეობს ბევრ ფილმში, და თავი გამოიჩინა, როგორც ნათელი მოქალაქეობრივი ტემპერამენტის მსახიობმა ქალმა. ერთიერთმანეთზე მიყოლებით ეკრანზე გამოდის სურათები „ჯულია“, „ჩინური სინდრომი“, „ელექტრონული მხედარი“. ომის საწინააღმდეგო ფილმში „შინ დაბრუნება“ მთავარი როლის შესრულებისათვის მან დაისაკუთრა თავისი მეორე „ოსკარი“. მესამე კი ჯეინს მიაკუთვნეს კინოფილმ „ოქროს ტბასთან“ დამხმარე როლის შესრულებისათვის, რომელიც ერთადერთი ფილმია, სადაც მამასთან ერთად თამაშობს.

თუმც ამ დღეებში ჯეინმა გადააბიჯა საიუბილეო ზღვარს, მაგრამ იგი ძველებურად ბრწყინვალე შემოქმედებითს ფორმაშია. ძველებურად შეუპოვარი, მოქმედი და მიზანსწრაფულია არასტანდარტული ბედის მქონე არასტანდარტული კინოვარსკვლავი.

## საქართველოს

ჩემი დარბეული საქართველო...
— სისხლად მოვარდნილი თქეში,
მუდამ ვიღაცათა სანახევრო,
მუდამ ვიღაცათა ხელში...
მარად მწუხარებად ალანძული,
მარად დაისრული მკერდში,
თვისივ სიკეთისგან განწირული,
ლოცვად განდგომილი მთებში.
დიდია ღმერთი და განგება მაღალი —
ყოვლისმომხილავი მწყემსი!...
არვის არ შერჩება ღალატისმაგვარი,
ის, რაც დატრიალდა ჩვენში!..
სისხლიან ჟამობას ინანებს სატანა,
უცილოდ, უახლეს ძვრებში,
ჩვენ ისევ მოგვიწევს სხვა ლელოს გატანა—
გარდაქმნით, ქარიშხლის ფრთებში!

...მე შემიცნობენ სიკვდილის მერე
და გამაცილებს ლექსში გიტარა...
....ჩანაწერები, მოგონებები,
ავტოგრაფების ტევრი შრიალა...
რამდენი კაცი წავიდა ისე,
თანაგრძნობასაც ვერ ეზიარა...
...მე მაინც მართობს ბედის კოცონი,
ფავორიტების მთელი „ხვიარა“,
გაოცებული მოირას სახე,
რომ გავანბილე სახემზიანმა...
პლაგიატორთა ორატორია,
გამზადებული შხამის ფიალა...
შეყვარებული ჭაბუკის ცრემლი...
დაბადება რომ დააგვიანა...
...რა ქნას ამაყმა უზადოებამ,
თუკი დროებამ ფერი უცვალა....

## უზადოება

რა ქნას ამაყმა უზადოებამ,
თუკი დროებამ ფერი იცვალა?!
— დავიჯერო, რომ სასწაულია:
ჩემში ვიღაცა გარდაიცვალა?!
მე ისევ მიხმობს ფლამენკოს „ოლე!..“
კასტანეტების ხმები ტკრციალა,
„სეგედილია“, „მალაგენია...“
პოეტურ სულს რომ შეეხმიანა...
იჭვადნაქცევი გოგონას სახე...
შურით ჭორი რომ მოაპრიანა....
სარკმლით ნასროლი ია-იები,
ყაყაჩოები — თვალებბრიალა..
მე იმ გვარის ვარ, უგვანოთ რომ ძულთ...
გზაც უცნაურად გამოიარა,
თავისუფალი საქართველოსთვის —
ამირანსავით გლეჯდა იარა...
...ჩემი ასაკიც ჯილაგით მოდის,
მუდმივ გაზაფხულს შეეზიარა...
მე საქართველოს ელფერისი ვარ...
ვითარც ბეღურა... მეტი კი არა!...
მისი ტკივილი — ჩემი ნერვია,
მარტოსულად რომ მახეტიალა...
უკვე მართობენ ქარტეხილები,
ლაღად ნებივრობს ჩემი დიანა...
მე ავმაღლდები ღმერთის შეწევნით —
ღვთიური ნიჭით, კაცით კი არა!..
ჩემში დედოფლის სიჯიუტეა:
მოვა, რამაც რომ დააგვიანა!...

## გალაქტიონი

თავი მოიკლა?!. — არასწორია,
მიწა ემძიმა, მიტომ გაფრინდა...
გაუცხოებულს უჩინოთათვის
თვით უკვდავება გადაბარდნიდა!
გაიყოლია ეპოქის ექო...
გაიშრიალა, ვით წყალვარდნილმა...
მისთვის დიდება არა იყო რა,
მიწიერებაც ლონეს აცლიდა!..
არად ულირდა თავად სიკვდილი,
გენიოსური ნებით გაგვცილდა,
შეიზიარა მარადისობამ —
კაცობრიობის ცოდვით დაღლილმა!...
სუნთქვად დატოვა ლექსთა კოცონი,
გაიყოლია უცხოდ ძახილმა...
დაამდუღარა თვით გულბოროტი —
ვით საოცრებამ, რაღაც ნამდვილმა...
თავი მოიკლა?!. — არასწორია...
მიწა ემძიმა, მიტომ გაფრინდა...

**ლამარა ჯაყელი**



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ... ბ-კა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავიდათავი



ასპინძაში ვართ, პარტიის რაიკომის შენობის შორიახლოს ვდგევართ და შეპირებულ მანქანას ველოდებით — მესხური სოფლები გვინდა დავიაროთ.

იქვე თავხოტორა, მზისგან სულერთიანად გატრუსული პატარა ბიჭი რაღაცას ჩხირკედელაობს, თან ცალი თვალით გადმოგვხედავს ხოლმე.

მოვიხმეთ, სახელი და გვარი გამოვკითხეთ, — გიორგი მუმლაძე! — რიხიანად გვითხრა.

—ოჰ, გიორგი, შენ ისეთი კარგი ბიჭი ჩანხარ, ლექსები აუცილებლად გეცოდინება, ხომ გვეტყვი?

გიორგის ალბათ მობეზრებული აქვს ასეთი კითხვები, წარბშეკრული გვიყურებს.

— არიქა, გიორგი, გვითხარი რამე!.. — ლოდინით დაღლილებს გვსიამოვნებს მასთან საუბარი.

პატარა ბიჭს ეტყობა სჯერა ჩვენი გულწრფელი თხოვნის და რჩევას გვეკითხება:

— „ვეფხისტყაოსანი“ დავიწყო, „ასპინძის ომი“, პაატაზე ლექსი თუ...

პასუხს აღარ ელოდება და იწყებს:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“:...

რო აღარა და აღარ ჩერდება... არადა, ერთი ციცქნაა, ექვსი წელი ახლა შესრულებია, სკოლაშიც წელს პირველად მიდის, ექვსი „დედა ენაც“ ქონებია თან (ჩემი ბებოსი, ჩემი პაპასი, ჩემი დეიდებისა და დედიკოსიო, — ასე გვითხრა).

მესხეთის მიწაზე პირველივე შემხვედრი ბიჭი ასე გამართულად რომ გეტყვის „ვეფხისტყაოსნიდან“ საკმაოდ მოზრდილ ნაწყვეტებს (ბოლომდე მაინც ვერ გავიგეთ, რამდენი იცოდა, დაიღალა ბავშვი), სიხარულით გული ყელში მოგებჯინება, აბა რა.

— ვინ გასწავლა გიორგი? — ვკითხე მორიდებით.

— დედამ, სხვა ვინ!

გაეზარდე შენს კარგ დედიკოს, გიორგი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა

* * *

საროს რვაწლიანი სკოლის ეზოში ისეთი ჟრიამულია, ყურთასმენა აღარ არის. აქაც, ვისი ლექსი გინდა, რომ არ იცოდნენ — მუხრანისა თუ მურმანისა, თუ კიდევ ანასი...

ბავშვებს ერთი ახალგაზრდა, მშვენიერი სახის ქალი თავს დასტრიალებს — ეს მათი პიონერხელმძღვანელია, ნაირა ლონდარიძე.

— სოფელში მრავალშვილიანი დედები არა გყავთ? — ვეკითხები ნაირას.

— კი, როგორ არა.

— თვითონ ნაირას ხუთი შვილი ჰყავს, — მეუბნებიან.

უწინ მესხეთში მრავალშვილიან დედას რა გამოლევდა, მცირეშვილიანი იყო სანთლით საძებარი, ახლა პირიქითაა — თითო სოფელში ორი-სამი შვილმრავალი ოჯახი თუღა მოიძებნება. ასეა საროშიც.

რა თქმა უნდა, ნაირას ოჯახშიც ვიყავით. გულდაგულ დაკრიალებული ეზო-კარი, მშვენივრად მოვლილი ბავშვები ნაირას გამრჯეობაზე მეტყველებდა. ასეც გვითხრეს, სოფელში მაგის გამომცხვარ პურს პური ვერ შეედრებაო. ორი ძროხა ჰყავთ, ბლომად ცხვარი, ფრინველი — თვლა არ არის, იმდენი, იქით სკოლა...

როგორ ასწრებთ ამდენ რამესო, რომ ვკითხეთ, — ღამის ორ საათზე ვწვები და ექვსზე ვდგებიო, — შემოგვცინა, ეგ რა სალაპარაკოაო.

მეუღლე ოთარ ლონდარიძე ასპინძაში მუშაობს, თბილისის გამთიშველების ქარხნის ფილიალის დირექტორია, თან დემოგრაფიული საზოგადოების ასპინძის რაიონის განყოფილებას ხელმძღვანელობს. ხელმძღვანელიც ასეთი უნდა — პირადი მაგალითი ყველაფერს გადასწონის.

...ჩვენი ფოტოკორესპონდენტი აპარატს ამზადებს, სურათი უნდა გადაუღოს ლონდარიძეებს.

— მოდი, დედა, ჩვენთან დაჯექი, — მოკრძალებით ეუბნება ნაირა მოხუც დედამთილს.

— არა შვილო, რაღა დროს ჩემი სურათია, თქვენ გაიხარეთ... — უარს ამბობს მოხუცი. თვითონ თორმეტი შვილი გაზარდა და ახლა ვალმოხდილი მშვიდად შეჰყურებს უმრწმესი შვილის ნაშიერს.

სასურათედ ეწყობიან ლარისა, გიორგი, ლეილა, პავლე და ლამარა თავიანთ დედიკოსთან ერთად.

ორღობეში წითელი ჟიგული შემოგრიალდა.

— მამაც მოვიდა, მამაც, მაგასაც გადაუღეთ! — აწიოკდნენ მეზობლის ქალები.

ოჯახის მამამ ეტყობა იუხერხულა, მანქანა არც შეუჩერებია, ეგრე ჩაათავა ორღობე და მალე თვალს მიეფარა.

— აი შეგირცხვა ნამუსი, — აკისკისდნენ ქალები.

ბავშვებიც იცინიან. წკაპ! და სურათიც გადაუღეს.

— მეექვსეც ხომ იქნება? — ვემშვიდობები ნაირას.

— კი, მეექვსე და მეტი აღარ! — თან დახვეულ თუთის ტყლაპსა და მრგვალ, დაბრაწულ პურს გვატანს საგზლად, — ჩემი გამომცხვარია, ხომ უნდა გაუსინჯოთ გემო!

...ასპინძის რაიონში ყურადღება არ აკლიათ მრავალშვილიანებს, ამის დასტური ის ორსართულიანი, ახალთახალი სახლია, უფასოდ რომ გადასცეს ლონდარიძეებს. თუ ასე მოეფერებიან ყველა მრავალშვილიანს, მაშინ გამრავლებას რაღა დაუდგება წინ.

სხვა გზა არცა გვაქვს — მესხეთის მრავალტანჯულ მიწას ქართველთა სიმრავლე უნდა ახარებდეს, რუსთაველის სამშობლო „ვეფხისტყაოსნის“ მცოდნე გოგო-ბიჭებით უნდა იყოს სავსე!

ყოველივე ამის თავიდათავი დედაა!

ემრავლოთ შვილმრავალ დედებს საქართველოში!

მანანა ზარიძე

* * *

არც ზღვა არ არის სულ ერთი ფერის,
ხან ლურჯია და ხანაც ცისფერი.
იქ, შორს, ნაპირთან, ვიღაცა მღერის
ფერთა ცვლის მოტივს.
და სიყვარული პირველყოფილი,
თანდათან მოდის.

* * *

დღეს ძალიან მომენატრე, შროშანავ,
და სიყვარულს დირიჟორობს ქარი.
იმედები პულტებიდან შორს სჩანან
და პიანოს ანვითარებს ქნარი.
აქ სიჩუმის მუსიკა ჟღერს, შროშანა,
და ქვითინებს უცრემლებოდ ქალი.
იმედები დარბაზიდან გამქრალან
და უბგეროდ გაპარულა ქარიც,
...ამ სიჩუმის სამეფოში უცრემლოდ,
სევდისგან თუ აქვითინდა ქალი.

* * *

გაედევნება აბლავლებულ სულს ჩემი
სევდაც.
მიეხეთქება გაგიჟებულ კლდეს ოცნებები.
ნეტა, ოდესმე თუ ვიქნები მახლობლად
შენთან,
ნეტა, ერთხელ თუ მაინც სადმე
მოგაგონდები.
გადაიარა შემოდგომის მკაცრმა
წვიმებმა
ახლა სარკმელთან თოვლი სახლობს,
როგორც ბელურა.
შენმა ფეხის ხმამ ჩემი ჩუმი
ტკივილი გახსნა.
და მონატრება საბანივით გადამეხურა.
ალვირახსნილი ყიჟინებენ თეთრი ცხენები
და ვნებააშლილ ქალს წააგავს ზღვა
ამღვრეული,
მკვდარი დღეები მეცლებიან სვენებ-
სვენებით
და თეთრ ბარათებს ჰყრის ზამთარი, —
გადარეული.
გადამავიწყდა, როგორ ბლავის ირემი
მთაში.
როგორ ართმევენ თაიგულებს საამო
ქალებს.
და როცა შევცდი, როს შეგხედე
პირველად თვალში,
რა ვქნა, ვერაფრით ვერ ვივიწყებ
იმ ნყეულ ღამეს.

ლეილა ბერძენიშვილი



# სადაც ლილეო მზის საგალობელია

ცა რომ მოიღრუბლება, ნათელა ვიბლიანს სახე მოეღუშება, მომწვანო-მოცისფერო თვალები ჩაუმუქდება და გულშიც გარკვეული შიში ისადგურებს, ისეთი, უცაბედი საფრთხის წინ რომ შეიგრძნობს ადამიანი.

ანდა რა გასაკვირია, დრომ ასე ადვილად ვერ წაშალოს სვანეთს დატეხილი სტიქიის აბობოქრება. სვანეთის მთებში, ლამაზ სოფელ ჭუბერში აიდგა ფეხი ნათელამ. იმის მიუხედავად, რომ ცხოვრების გზა თბილისში მონახა, მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივს შეუერთდა. მთის შვილი მთას ვერ უღალატებდა და არც უფიქრია სოფლის დავიწყება: დედა, და, ძმა და რძალი ოთხი ძმისწულით — აი, ნათელას ფუძის ფუძე, სახატე — სალოცავი.

ვიბლიანების ორსართულიანი სახლი ყოველთვის გულღიად ხვდებოდა სტუმარს. კომბინატის ზოგიერთ მუშაკს, ალბათ, დღესაც ახსოვს ზვავიან ზამთრამდე, შემოდგომის პირს სავიბლიანოში სტუმრობა; პურადი ოჯახი აქვს ნათელას და არც არასდროს შეურცხვენია თავი. სვანეთის ბუმბერაზი მთების სიდიადეს და სილამაზეს მასპინძლების გულითადობა ეშხს და ლაზათს ჰმატებდა ხოლმე.

მაგრამ სტიქიამ არც ნათელას კარმიდამო დაინდო. ეს ფუძემყარი ოჯახი დედაწულიანად სიკვდილს ძლივს გადაურჩა და... ტანთ რაც ეცვათ, ის შერჩათ მხოლოდ... წლობით მონაგარი წყალმა წაიღო, ზვავმა შთანთქა...

— დმანისში მისცეს ჩვენებს ბინა, — მიამბობს ნათელა, — მაგრამ გულმა არ მიიღო იქაურობა. ყველაზე მეტად დედას გაუჭირდა. ვერ წარმოიდგენთ, რა მძიმეა, როცა ყველაფერი გაქვს და ერთ მშვენიერ დღეს ცარიელ-ტარიელი, თანაც სხვა გარემოში აღმოჩნდები. დმანისი კარგია, საქართველოა ისიც, მაგრამ ჩვენი სვანეთი სხვაა მაინც... ისევ ჭუბერში ავიდა ვიბლიანების ოჯახი, საძირკველი გათხარა და ფუძის აღდგენას შეუდგა. — ამ დასვენების დღეებშიც იქ ვიყავი, — ნათელამ ხელები დამანახა, — ზვავით მიშლამულ ფიცრებს, კოჭებს ვთხრიდით. სულ ერთი თვის მიღებული მქონდა მანქანა, ისიც ზვავმა მოიყოლა, მსხვილფეხი და წვრილფეხი — ყველაფერი ერთიანად გაწყდა. ღმერთს ყოველ დილას მადლსა ვწირავ, ოჯახის წევრები რომ გადამირჩინა...

მაუდის წარმოებაში თითქმის ორი ათეული წლის წინათ მოვიდა ნათელა. №24 პროფსასწავლებელში ოსტატმა, მაყვალა ხისფეხაშვილმა დააკვალიანა მომავალი მრთველი. ტანთხელი, ცისფერთვალა გოგონა სართავ მამქანასთან მოსწავლეს ჰგავდა, დაფასთან გასულს პასუხის გაცემა რომ ვერ მოეხერხებინა. ისე სწრაფად ბრუნავდა ყველა მასრა და ლილვი, თვალს ვერ უსწორებდა, თითქოს იატაკიც ირყეოდა და მთის კალთებს შეჩვეული გოგონა ფეხს ვერ იკიდებდა. ახლა ნათელას ეღიმება: — ჩემი პირველი მასწავლებელი მედიკო მესხი იყო. ეგ რომ არა, ვერაფერს ვისწავლიდი. მედიკომ შემაყვარა წარმოება, რომელიც ახალმოსულს უცხოდ და ჩაუწვდომლად მეჩვენებოდა.

მედიკო მესხი დღეს საამქროს ოსტატი... როსია. გამოცდილი ხელმძღვანელი თავის უბანს ხუთი თითივით იცნობს, რაც კოლექტივის შრომითი წარმატებების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ნათელა ვიბლიანი სართავ მანქანას ემსახურება. მის გვერდით შრომობენ მანანა გუდესიანი და ლია ბერაძე. ეს სამი ქალი ორ მანქანას ამუშავებს და შრომაში ტოლს არავის უდებს.

მანანა გუდესიანი ჩემი შეგირდი იყო, — მიამბობს ნათელა, — ორივენი სვანები ვართ და თითქოს უფრო მეტად ეს გვაკავშირებს. ლია ხელმარჯვე მრთველია, თვალდახელშუა ოსტატდება.

თვითონ ნათელა მეხუთე თანრიგის მუშაა და სწორედ მისი თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომ ჯერ შრომის წითელი დროშის, შემდეგ კი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. 1984 წელს იგი საკავშირო კომკავშირის, ხოლო წლეულს კი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

— ამჯერად სიხარული სულ არ მიგრძვნია, — ცისფერი თვალები უმუქდება ნათელას, — აპრილის ტრაგედიამ სულით-ხორცამდე შემძრა. ბუნებამ ჯერ სვანეთი გაანადგურა, შემდეგ უდანაშაულო ხალხის სისხლი დაიღვარა და ახლა აჭარას შეუტია.

როგორც ნათელამ თქვა, საამქრომ რამდენიმე დღეში გამომუშავებული თანხა გადარიცხა აჭარის დახმარების ფონდში, (შარშან სომხეთის მიწისძვრისაგან დაზიანებულ რაიონებს სამი დღის თანხა გადაურიცხეს). პირადად კი ამას თავისი დანაზოგიც დაუმატა. ჩემს თავზე გამოვცადე, უსახლკარობა რაც არისო. — ეს ფრაზა უკვე ხმის თრთოლვით დაამთავრა.

კომბინატში შრომის ორი ათეული წელი ნათელა ვიბლიანისათვის ბევრჯერ სიხარულის, ზოგჯერ წყენის, ხან იმედის გაცრუების წლები იყო. ასეა ყველა ადამიანის ცხოვრებაში. ნათელას დღესაც მწარედ აგონდება სამღებრო-გამომყვან წარმოებაში გაჩენილი ხანძარი.

— ასე მეგონა ჩემი საკუთარი სახლ-კარი იწვოდა, — მეუბნება იგი. — დღესაც, ყოველი გახსენებისას უმწეობის შეგრძნება მაქვს. გამძვინვარებულ ცეცხლთან ბრძოლა მიდგას თვალწინ.

ყველაზე სასიამოვნო მოგონებად ნათელასათვის კომბინატის დირექტორად მამია თენიეშვილის დანიშვნა ითვლება.

— სანამ ახალი დირექტორი მოვიდოდა, კომბინატიდან წასვლას ვაპირებდი, ამბობს ნათელა. მუშაზე არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესპუბლიკის ქალთა საბჭოების თათბირ-სემინარი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კადრების მომზადების ცენტრის ბაზაზე გაიმართა რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების და ოლქების ქალთა საბჭოების თავმჯდომარეების — 3 დღიანი თათბირ-სემინარი.

სემინარი მიეძღვნა რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის პირობებში ქალთა საბჭოების მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. სემინარის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი ნ. ლაღიძე.

სემინარი გახსნა რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა.

გარდაქმნა და საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების პრობლემები, ეკონომიკის ძირეული გარდაქმნის პირობები და მშრომელთა სოციალური გარანტიები, რესპუბლიკის ეროვნული განვითარების კონცეფცია, საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები და ქალთა საბჭოების ამოცანები, ქალთა შორის სამართალდარღვევები და მის პროფილაქტიკაში ქალთა საბჭოს მონაწილეობა, ქალთა შრომის პირობების და მისი გაუმჯობესების გზები, ქალთა საბჭოები და ახალგაზრდობის პრობლემები — აი ძირითადი თემები, რომელთა შესახებაც ლაპარაკი იყო სემინარზე.

სემინარის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ საკავშირო ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. გალკინა, ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი მ. ბარათაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. გოგიბერიძე, შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ჯაფარიძე, რესპუბლიკის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კპ ცკას ლექტორი ს. ცინცაძე, საქ. კპ ცკას სექტორის გამგე ა. თოთაძე, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს განყოფილების გამგე ა. დოჩია, პროფდაავადებათა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ. ვაშაკიძე, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების გამგე მ. ქურდაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორი თ. ქარელი.

სემინარის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო მოწინავე ქალთა საბჭოების მუშაობის გამოცდილების გაზიარებას. სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის საქარხნო რაიონიდან კლ. სვანიძე, გურჯაანიდან ლ. აფთარაშვილი, ხონის რაიონიდან ზ. ბენდელიანი, ახალქალაქიდან თ. ლაზარაშვილი, თეთრიწყაროდან ქ. ცხვედიანი და სხვები.

სემინარის მუშაობა შეაჯამა ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჭაძემ.

სემინარის მონაწილეებს დაურიგდათ მეთოდური წერილები და ლიტერატურა ქალთა შრომის, პენსიით უზრუნველყოფის, მრავალშვილიანი დედების დახმარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით არსებულ საკანონმდებლო აქტების შესახებ.

ვინ ფიქრობდა; რა გვიჭირდა, რა გვილხინდა, რა გვაწუხებდა — ძველ ხელმძღვანელობას ეს ნაკლებად, ან საერთოდ, არ აღელვებდა. მუშას ისე უყურებდნენ, როგორც სამუშაო ძალას. თუ თითოეული მათგანი ადამიანი იყო, ეს აზრადაც არ მოსდიოდათ. მოვიდა ახალი დირექტორი და მშრომელი კაცის სიტყვასაც ფასი დაედო. თვითონ მუშამ იგრძნო, რომ წარმოებაში გადამწყვეტი სიტყვა მუშათა კოლექტივს ეკუთვნის. ამაში ჩვენი დირექტორის მადლობელი ვარ. როცა საამქროში შემოდის, ყველას ისე მოგვიკითხავს, გაგვიგულისპასუხდება, რომ ვგრძნობთ ჩვენზე ფიქრობს. ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთა ჩვენთვის. გულახდილად გეტყვით, კომბინატისათვის გარდაქმნა მისი მოსვლით დაიწყო და ღმერთსა ვთხოვ, ბატონი მამია დიდხანს იყოს ჩვენი ხელმძღვანელი.

ბევრი ილაპარაკა ნათელამ საამქროში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებების შესახებ. ბოლოს კი სალამოს ცვლაში მომუშავე მუშების გასაჭირზე, — ტრანსპორტის უქონლობაზე ჩამოაგდო სიტყვა.

— ღამის ცვლა რომ მთავრდება, ავტობუსები არ გველოდება. გვიხდება მეტროთი მგზავრობა. №32 და №97 ავტობუსები 23 საათზე ამთავრებენ მუშაობას. თემქის და მუხიანის მცხოვრებლები იძულებული ვართ ორი-სამი გაჩერება ტაქსით გავიაროთ. ტაქსი კი ორ მანეთს გვართმევს. ამ დღეში არიან ჩვენს საამქროში მომუშავე თ. კეკენაძე, ნ. გალოგრე, მ. ბოლოთაევი და სხვები. იქნებ ავტობუსი გამოგვიყონ, რომ დაღლილ-დაქანცული ქალები უწვალებლად მივიდეთ შინ.

ვიმედოვნებთ, რომ ნათელას ნათქვამს კომბინატის ხელმძღვანელობა ყურად იღებს და ჯეროვან დახმარებას აღმოუჩენს.

ნათელას ერთი წუთით არა აქვს მოცლა. მისი გაწაფული თითების მოძრაობას თვალს ვერ შეასწრებ. სხვებთან ერთად ნათელამაც შეძლო პროდუქციის გაუმჯობესება, მაგრამ მიღწეულს არ ჯერდებიან, ახალი მიჯნების გადასალახავად იბრძვიან.

კვირის ბოლოს ნათელა ისევ სვანეთის მთებს მიაშურებს, იქ მთებში ისევ ისე ჟღერს „მირანგულა".

„დედეშ, დედეშ, მირანგულა,
დედეშ ისგვამ სი გარ ხორდას..."

ისევ შენდება სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლები, საკვამურებიდან ცისფერი კვამლი მიიკლაკნება, სიცოცხლე გრძელდება.

როგორც ნათელამ მითხრა, თურმე სასწაულად გადარჩენილან სვანური სალოცავები და პირქუში კოშკები:

არ დაიჯერებთ, ეკლესიის კედლამდეც კი არ არის ზვავი მისული, ორად გაყოფილს აქეთ-იქით ჩაუვლია, თითქოს წმინდა ადგილს მორიდებიაო.

— ეს უკვე რწმენის სათავეა. იმ რწმენისა, რომლითაც დღეს სვანეთი შენდება, რწმენისა, რომელიც აჭარას მიწასთან არ გაასწორებს, იმ რწმენისა, რომელიც სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ნათელა ვიბლიანს აქვს, რომელიც კომბინატში საქვეყნო საქმეს აკეთებს, სვანეთში კი ძმასთან ერთად ფუძეს ამაგრებს, ორივეგან საქართველოს ძლიერებისათვის იღვწის.

თამარ დემეტრაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა ლეხნიცკა

# პრინციპული ქალი

## მონოლოგი

ხალხმა შეამჩნია, რომ ფსიქიკურად გატეხილი ვარ, სულიერად თითქმის მთლიანად დაცემული. სიცარიელემ დაისადგურა ჩემში. საიდან უნდა შეემჩნია ეს ხალხს? როგორ თუ საიდან? — ტანსაცმლიდან. ბედნიერი რომ ვყოფილიყავი, არასდროს არ ჩავიცვამდი ასე: უმეტეს შემთხვევაში იოლად გავდივარ ჯინსის შარვლით. ჯინსი მიხდება მოწყენილობის დროს. სამაგიეროდ უბედნიერესი ვიყავი მწვანე რიპსებში. ძალზე უბრალო ფასონია, მაგრამ რა თარგია! მთელი ქორწინება მაგაში გავატარე, იმიტომ, რომ ანტონს ძალიან მოსწონდა იგი. მისი მუქი კოსტიუმი შავი ჰალსტუხით მშვენიერ ტონს ქმნიდა ჩემს რიპსთან. მაგრამ რა, ცხოვრება უკუღმართია, უსიამოვნება შემემთხვა ანტონის გამო. როგორც კი თავისი ყოველდღიური მუქ-ლურჯი ზოლებიანი ტანსაცმელი ჩაიცვა, მივხვდი, რომ მასში შევცდი. და მართლაც, უკვე პირველ ხანებში ზაკოპანეში ყოფნისას გამოვლინდა ანტონის ეს ფსიქიკური მოვლენა.

და ასე, ბატონებო, ოდესღაც, სადღაც, რომელიღაც ფილოსოფოსს უთქვამს: მითხარი, რა გაცვია და გეტყვი, ვინც ხარო. ახალგაზრდა, სანდომიან ცოლს თავზარი დამეცა, საუზმის წინ ანტონი რომ დავინახე, რომელიც ნაზად ეხვეოდა ქერა გოგონას — ლეოკადიას... და რა გგონიათ, რა ეცვა ანტონს? — ჭუჭყიან ფონზე ყვითელი კუბოკრული ფანელის საშინაო ხალათი. მას კი — საღამოს კაბა დილით! რა არასასიამოვნო სანახაობაა!

კედელს მიღმა ვარ. ვეპარები, მუშტებს ვკუმშავ, ვგრძნობ, რომ წუთიც და უდიდესი მგზნებარებით გათამაშდება დრამა, მაგრამ უცბად ასეთი აზრი მებადება. „კარგი, ვეპარები, მაგრამ, როგორ? — პლაჟის ვარდისფერ კოსტიუმში გამოწყობილი? სწრაფად ვბრუნდები ოთახში. ტანსაცმელს კარადაში ვყრი, ვიცვამ უბრალო ტუნიკას, ღრმა დეკოლტეთი, სანდლების ნაცვლად — ვიწროცხვირიანსა და წვრილქუსლიან ფესაცმელს, ცისფრად ვიღებავ ქუთუთოებს, თმებს ვისწორებ და სარკეში ვიხედები. ისე გამოვიყურები, როგორც აფექტში შესული ელეგანტური მკვლელი. აივანზე მივქრივარ. ვნახოთ, რას იტყვის ხალხი! მოღალატეები!

...უკვე აღარ არიან! ამდენმა ცდამ ტყუილუბრალოდ ჩამიარა.

სკამზე დავეშვი, მოთმინება მელეოდა. ვფიქრობდი: გავეყრები, მაგრამ რა ჩავიცვა? არა მაქვს მუქი ფერის კოსტიუმი და უმაგისოდ გაყრა ცარიელი სიტყვებიღა იქნება. ანტონიც, ჩვეულებრივ, ზედმიწევნით უგემოვნოა წვრილმანებში. გაყრამდე საჭიროა დრო — შევურჩევ პერანგს, წინდებს.

ვარშავაში წავედით და, როგორც ვფიქრობდი, მთელი გაყრის პროცესი გამიფუჭდა შეუფერებელი კაბის გამო. ანტონი მუქი ზოლიანი კოსტიუმით მოვიდა, მე კი — დაჭმუჭნილი წითელი კაბით, ანტონის ტანჯულ სახეს როგორ მოუხდებოდა გულის ჯიბეში ჩადებული შავი, პატარა კალმის ბუდე...

მერე ანტონს ქუჩაში შევხვდი. მდოგვისფერი პიჯაკი ეცვა და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. „დაბრუნდი“! — თქვა. მინდოდა კისერზე შემოვხვეოდი, მაგრამ არ შემეძლო. ბალახისფერ პალტოში ვიყავი, ის ბალახისფერი ანტონის მდოგვისფერთან დამღუპველად ჭრიდა თვალებს. გულისტკივილით გავცილდი... პირდაპირ მკერავისაკენ, ქალბატონ კაროლინასაკენ გავწიე. ქალბატონ კაროლინას ვუთხარი, ქმარი მიბრუნდება, ახალ ცხოვრებას ვიწყებმეთქი, მაგრამ რით — გამოხუნებული ჟოლოსფერი ლაბადით, რომლის ზურგიდან ნაოჭები იშლება? ბედნიერება არ მღირსებია ამ ლაბადაში. კაბა? — როგორ შევხვდე ანტონს ძველი უმოდო ტომრით? ამაზე კაროლინამ მითხრა, — ახალი ცხოვრების დაწყება ყველაზე ადრე ორი თვის შემდეგ შეგიძლია, იმიტომ, რომ კაბის შეკერვას ვერ მოვასწრებო. რა უნდა მექნა? დამპალი ქლიავივით დავრჩი ყავისფერ სხვადასხვა ტონებში. ასე, გადავდე ბედნიერება, რადგანაც ჩაცმაში არ მქონდა ჰარმონია.

და აი, როცა ყველაფერი უკვე მზად იყო, როცა კაროლინასგან მოვდიოდი საქორწილო მორთულობით, ისინი ქუჩაში შემხვდნენ. ანტონი ლეოკადიასთან ერთად მიდიოდა, მაგრად ჩაკვროდნენ ერთმანეთს. ანტონი არ დამელოდა, როგორც რომელიღაც ლექსშია. ახლა არა მაქვს დეტალების გახსენების თავი. მოღალატე!

გადავწყვიტე სასოწარკვეთილებით მოვკვდე. ეს ერთადერთია, რაც დამრჩენია. მაგრამ რაში უნდა მოვკვდე? ო, მითხარით რაში? განა მაქვს რაიმე ასეთი შემთხვევისათვის?! საჭიროა სპეციალურად შევუკვეთო კაროლინას სასიკვდილო ორიგინალური კაბის მოდელი!

...არ მომეცა საშუალება თავში ქოლგა ჩამერტყა ლეოკადიასათვის. მოდიდან გამოსული ქოლგა მქონდა, და აბა თავს ხომ არ შევირცხვენდი. უხმოდ გავშორდი. არ არსებობს სიცოცხლე პრინციპული ქალისთვის.

პოლონურიდან თარგმნა
ინგა კაკაბაძემ

# ჟურნალ „საქართველოს ქალის" 1989 წლის ნომრების სარჩევი:


№ 1

პროზა, პოეზია:

ვ. ტოკარევა — ყველაზე ბედნიერი დღე, — მოთხრობა.
ზ. ათანელაშვილი — მოლარე გვჭირდება: როცა კარგად გახდები! იუმორი.
მ. ბარათაშვილი, ლ. ბარათაშვილი, ნ. ჯაში — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

რ. ბაინდურაშვილი — ქვაში გამხელილი სიყვარული.
ნ. ბუკია — ბახტრიონელთა საზრუნავი.
ი. კუკავა — მისი სიმდიდრე.
რ. ნათენაძე — სოფელი გზიდან იწყება.
დ. მდივნიშვილი — მერი მიქელაძე.
ე. ჯაფარიძე — დაბრუნება.
მ. ლორთქიფანიძე — თამარ მეფე.
გ. გამრეკელი — დები პოლგარები.
მ. კაპანაძე — ახდენილი ოცნება.
მ. მჭედლიშვილი — პესტიციდები ჯანმრთელობისათვის საშიშია.
გ. სტურუა — ფიქრები „ბოროტების ფესვზე".

№ 2

პროზა, პოეზია

გ. ყირმელაშვილი — ვინ ჯდება საჭესთან ნასვამი?
მ. ბარათაშვილი — ფ. ხალვაში, ნ. გვარიშვილი, ქ. მჟავია, ნ. დუმბაძე, დ. ბიბინეიშვილი, ჟ. ხაჯიშვილი, — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

მ. გოცირიძე — ერის ძლიერება.
აჭარის ასსრ მოღვაწე ქალები
აჭარის ასსრ ქალთა საბჭო.
ლ. ნესოლიონოვა — წარმოების მოწინავენი.
ლ. ხოშერია — ლამაზდება სოფელი.
გ ხალვაში — ვამაყობთ მრავალშვილიანებით.
შ. ზოიძე — ბათუმის თეატრში.
გ. ქუთათელაძე — ფუნქის ოსტატები.
ე. ციბაძე — მასწავლებლის ხელი.
რ. სურმანიძე — „მკურნალად შემეყარეო".
ს. გოგიტიძე — აჭარის კურორტებზე.
ნ. ქორიძე — ახლაც გაზაფხულია, მენატრება იები...
მ. ხანთაძე — საქართველო ზღვაოსნობის ქვეყანაა.

№ 3

პროზა, პოეზია:

ლ. გიწაძე — სამი ნოველა.
ნ. მგალობლიშვილი — წინაპარი, — ნამდვილი ამბავი.
მ. მერკვილიშვილი — გარდაქმნა ჩვენებურად, — იუმორი.
ვ. გორგანელი, ა. თევზაძე, ლ. კერესელიძე, მ. ვაშაკიძე, ვ. ცინცაძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

რ. ბაინდურაშვილი — მათი ლამაზი სახლი.
რ. გრიგოლია — მეცნიერი, ეკონომისტი.
ი. კუკავა — „ნეტავი, შვილთა მრავალთა".
ი. ჩოფიკაშვილი — „ლამაზად შვილის აღმზრდელი"...
მ. ბარათაშვილი — რით დავეხმაროთ?
ლ. ფრუიძე — დიდმნიშვნელოვანი ეროვნული დოკუმენტი.
ნ. ბაქრაძე — ლულუ დადიანი.
ე. პაიჭაძე — უნგრელი მეგობრები.
ქ. გოგიჩაიშვილი — მოიჯარეს ბევრი შესძლებია.
ლ. იანვარაშვილი — სიმართლის წინააღმდეგ.
კ. იაროვოი — კანონები ქაღალდზე რჩება.

№ 4

პროზა, პოეზია:

ლ. ხუბაშვილი — ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...
ნ. დავითაშვილი — მინიატურები.
ე. დიდიმამიშვილი, თ. მელიქიანი, ა. სევაკიანი, — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

მ. ბარათაშვილი — გავუფრთხილდეთ საქართველოს!
დ. ქათამაძე — მოდის თეთრი „ნაკადული".
ლ. კაკაბაძე — ჩვიდმეტიდან ოცდაექვსამდე.
გ. მელუავა — „ახმეტელის თეატრი და „დავით გურამიშვილი".
მ. ზარიძე — „ვარ პირმშო მისი".
ი. კეკელიძე — კეთილი გზით ევლოს.
დ. ფირცხალაიშვილი — შვება და სიხარული.
ნ. ლომიძე — ასე თარგმნიდა „ფაუსტს".
ნ. შალუტაშვილი — აჩუქე ადამიანებს სიხარული.
მ. ბარათაშვილი — თეო აბაშმაძე
ნ. უმიკაშვილი — დავიწყება არ უწერია.
ნ. ქიმერიძე — დროს ვერასოდეს ჩამორჩები.
ს. გრიგაკინი — ბავშვის კვება.
რ. ლორთქიფანიძე — „უარყოფილნი" ანუ ბედი თუ სინდისი.

№ 5

პროზა, პოეზია:

გ. ხეჩუაშვილი — დაკარგული შვილის დაბრუნება.
ლ. ნუცუბიძე, — რ. აფხაძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ლ. კიკალეიშვილი — პედაგოგიური გარემო-მშობელი.
რ. გრიგოლია — როგორი ოჯახი გვინდა.
ზ. კვაჭაძე — ჩვენი გულისხმა.
თ. ჯაში — გვიბოძეს დემოკრატია, მაგრამ...
გ. მეფისაშვილი — ქართულ აბრეშუმს — ოქროს მედალი.
ნ. კუპრეიშვილი — პასუხი ბოლომდე უნდა ვაგოთ.
მ. ჯორბენაძე, ნ. დონაძე, ო. დადიანი, მ. ზარიძე — როცა ბავშვი სკოლაშია.
თ. გომართელი — გზა ჟურნალისტობამდე.
ზ. მეტრეველი, ტ. გურგენიძე — თითქოს გუშინ იყო...
ა. გვენცაძე — თამარ ბოლქვაძე — ეკრანის მშვენება.
დ. გულისაშვილი — სტუმარი ღვთისაა.
ვ. გაგუხადია — ენურეზი.
გ. ზაუტაშვილი — გრძნობით გამთბარი სტრიქონები.

№ 6

პროზა, პოეზია:

ა. დავითაშვილი — დეკემბრის სუსხიანი ღამე, — მოთხრობა.
ს. მგელაძე, მ. მრევლიშვილი, მ. ბარათაშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ც. ნანავა — დაიზრდებიან, გამრავლდებიან...
ე. ლონდარიძე — შენ გიგალობ, პატარავ!
ი. ჩოფიკაშვილი — სად დავასვენოთ ბავშვი?
ლ. კაკაბაძე — საქართველოს ასულები.
ნ. ბუკია — ნატო გიორგაძე.
ო. რევია — აზა ადამია.
ნ. არჩვაძე — ნინო თოიძე.
ქ. სახვაძე — მაიას ბედის ვარსკვლავი.
მ. ნაკაიძე — იმედიანი დაპირებები.
ლ. გიგვავა — წამალთან ხუმრობა არ შეიძლება.
მ. ზარიძე — კარგი მაგალითი.
მ. მჭედლიშვილი — პესტიციდები საშიშია ბავშვებისათვის.

№ 7

პროზა, პოეზია:

მ. თომაძე — ქორწილი.
ნ. კილასონია, ნ. თარგამაძე — მ. ხმალაძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ვ. ბარათაშვილი — ერის იმედი.
გ. მურღულია — დანიშნულება და საღმრთო ვალი.
გ. ტონია — მამის როლის ამაღლებისათვის.
ი. ციციშვილი — კვლავ გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს.

რ. კაზაკოვა — გვინდა შენდობა გთხოვოთ!
ე. ჯაფარიძე — შეწყვეტილი სიმღერა.
გ. შეთეკაური — ჭეშმარიტი სიყვარულით შთაგონებული.
ს. დურმიშიძე — უკანასკნელი შეხვედრა ელენე ახვლედიანთან.
ზ. პუხოვა — სამართლიანობის გამარჯვების რწმენა.
ვ. ვაშაკიძე — საფრთხის წინაშე.
ქ. კაკაშვილი — როცა გული არ ბერდება.
გ. ზუბაშვილი — დამსახურებული ტაში.
მ. ოგბაიძე — კომპლექსი პროდუქციით ფასდება.
ო. დადიანი — თამარ ქუჩულორია.
ლ. ირემაძე — ბავშვი რომ ჯანმრთელი იყოს.
გ. გამრეკელი — ეს დროც მალე გაირბენს.
თ. კახელიშვილი — ბუნების ნობათი.

№ 8

პროზა, პოეზია:

გ. სვანაძე — შუშანა. — მოთხრობა.
ლ. სვანიძე — პრივეტ, ჰიჭიკო. — იუმორი.
ლ. ჭავჭავაძე, — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

რ. ბაინდურაშვილი — ჩემი საქართველოსათვის.
გ. ალავერდაშვილი — მე პატარა ქართველი ვარ...
ი. ჩოფიკაშვილი — ხალხმა მოგვაწვდინა ქება.
ნ. ბუკია — უზენაესი ბედნიერება.
ი. ბერმესაშვილი — საქართველოა აქაც და იქაც.
რ. სიმონიშვილი — ძიების ორმოცი წელი.
დ. ჯორჯიკია — აქ დიდი იმედით მოდიან...
ე. საყვარელიძე — ხელოვნების ტრფიალი.
მ. მინდიაშვილი — კეთილი საქმის მსახური.
ე. ჯაფარიძე — დამსვენებელი კმაყოფილი რომ იყოს.
ი. ანოხინი — ძნელბედობის დროის ბავშვი.
ლ. შეწირული — საშიში დაავადებანი.

№ 9

პროზა, პოეზია:

ნ. აფხაზავა — ნისლი შუადღისას, — მოთხრობა.
ა. ახმატოვა, ნ. თარბამაძე, შ. მგელაძე, ვ. ცინძაძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ზ. ცუცქირიძე — ერის ბასტიონი.
ზ. პუხოვა — სსრკ სახალხო დეპუტატების უმაღლესი საბჭოს სესიაზე.
მ. ბარათაშვილი — ღია წერილი ნელი თარბას.
ა. ციცქიშვილი — ხსნა ბუნებაშია.
ნ. ბუკია — მარინეს ბედნიერება.
ლ. ბიორგოგიანი — ლილი კაჭარავა.
ე. ჯაფარიძე — ზრუნვით გაწვდილი ხელი.
გ. ნოზაძე — დემოგრაფია ერთი რაიონის სარკეში.
ნ. უმიკაშვილი — ბავშვი რომ ჯანმრთელი დაიბადოს.
ი. ცქვიტინიძე — ქორწინების ასაკის დადგენისათვის.
გ. კრივოშეევი — თანამედროვე ჩინელი ქალი.
ე. ქუთათელაძე — გამოსათხოვარი, — კირა კვეიძე.

№ 10

პროზა, პოეზია:

ი. ტალიაშვილი — დრო. — მოთხრობა.
გ. ლოგუანიძე, ა. დიდებაშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

თ. გომართელი — ერის ქალი.
ს. შაიშმელაშვილი — მშობლიური ენის ძალა.
ქალთა საბჭოებში, — ქველმოქმედნი.
ლ. კაკაბაძე — უნივერსიტეტში სიახლეა.
თ. ქავთარაძე — იჯარა სანარდო საწყისებზე.
თ. ნინიძე — ნორჩი მსოფლიო ჩემპიონი.
შ. ჩხაიძე — მომავლისათვის.
გ. ჭელიძე — კანონის სახელით.
ნ. ბარათაშვილი — ოჯახი და საზოგადოება.
რ. გაგროშვილი — დაუკარით!
დ. იორდანიშვილი — სიკეთე.

№ 11

პროზა, პოეზია:

გ. გელაშვილი — სამი ნოველა.
მ. ბარათაშვილი, დ. ბატიაშვილი, ი. ნაცვლიშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

რ. გრიგოლია, — დღევანდელობის საწიერიდან.
ზ. კვაჭაძე — მომავალ სახალხო დეპუტატთა არჩევნებში.
რ. გასილაშვილი — სეტყვისგან გაწყვეტილი მტევანი.
ი. ნაყოფია — გავერთიანდეთ დედები!
ა. ლიაძე — შემოქმედის უკვდავება.
რ. ბაინდურაშვილი — როცა შენი ქალაქი გიყვარს.
ს. ჯაფარიძე — მხატვრის სახელოსნოში.
ნ. ბუკია — საქართველოსთვის დაბადებულნი.
რ. ნათენაძე — სიყვარული მეგზურად მიჰყვება.
ნ. კილასონია — გამოსათხოვარი.
ნ. ხომერიკი — ბედნიერი წუთების გაცოცხლება.
სტუმრები ამერიკიდან.
მ. ზარიძე — როცა სიყვარული იგვიანებს...
გ. სტურუა — ვინ უნდა ატაროს საქართველოს წარჩინებულის სახელი.
დ. ზაზაძე — მესხური ფოლკლორის მოამაგენი.
შ. მებრელიძე — ბაგრატიონთა ქალები.

№ 12

პროზა, პოეზია:

ნ. ლაგკოვსკი — ცუდი მრჩეველი, — მოთხრობა, თარგმნა ზ. გოტკოველმა.
ა. ლეხნიცკა — პრინციპული ქალი, — იუმორი.
ლ. ჯაყელი, ლ. ბერძენიშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

გ. მარუაშვილი — სურვილების თუ ნდობის კრიზისი?
ი. კუკავა — ჩემი ხნისა მოიყარეთ!
მ. ჯორბენაძე — ქალი შინიდან გამოვიდა...
მ. კალანდაძე — ყანა დარკი
თ. ნინიძე — გზა მშვიდობისა!
ნ. ჭედია — როცა ასეთი სიყვარულია
ნ. ხატისკაცი — არ დავიწყება ლვაწლისა
ნ. ზაალიშვილი — ნანა ცინცაძე
ი. რურუა — „იავნანა" — ქართველი ქალის მეხოტბე.
ლ. კაკაბაძე — ყველა ქალი დიდხანს იცოცხლებს, თუ....
ო, რევია — ქველმოქმედება გრძელდება.
მ. ზარიძე — თავიდათავი დედაა
თ. დემეტრაშვილი — სადაც ლილეო მზის საგალობელია

ნომრებშია: კულინარული რეცეპტები, ფერად-ფერადი, მოდა, რჩევები, ქალთა საბჭოებში.

---

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 4.11.89 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.12.89 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 173.000. შეკვ. 2439. უე 08449. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოზინაყი

სააახალწლო სუფრის მშვენება და თითქმის აუცილებელი ნუგბარია გოზინაყი. რამდენიმე დიასახლისის თხოვნით. განმეორებით გთავაზობთ გოზინაყის მომზადების წესს. რომელიც დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის 1987 წლის დეკემბრის ნომერში.

**მასალა:** 1 კილო თეთრი ნიგოზი. 800 გრამი თეთრი თაფლი. ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი.

**მომზადების წესი:** მჭრელი დანით ძალიან თხლად (სიფრიფანად) დაჭერით ნიგოზი, მოათავსეთ გაზქურის დიდ ტაფაზე და შედგით წინასწარ ძლიერ გახურებულ და მერე ჩამქრალ გაზქურაში. გაზქურა რომ გაცივდება, გამოიღეთ ტაფა (გაზქურა თავიდან აანთეთ, რომ გახურდეს) და ნიგოზი რომ შეგრილდება სულის შებერვით კანები მოაშორეთ, თან ნაზად აურიეთ ქაფქირით ან ბრტყელი დანით. თუ დაატყობთ, რომ კანები მთლიანად არ მოშორდა, კვლავ შედგით გახურებულ ღუმელში და გაიმეორეთ ისევე, როგორც პირველად.

**თაფლის მოყვანა ანუ მოწევა:** ბრტყელძირიან ქვაბში ან სპეციალურ საგოზინაყე ტაფაზე მოათავსეთ თაფლი, დადგით ძალიან ნაზ ცეცხლზე (ძლივს რომ ბჟუტავდეს, თორემ თაფლი სწრაფად აქაფდება და გაშავდება) და გამუდმებით ურიეთ ხის კოვზით. თაფლის მოყვანას საათნახევარი, ზოგჯერ ორი საათიც სჭირდება; მოყვანის შუა პროცესში ჩაყარეთ შაქარი და კვლავ გამუდმებით ურიეთ. რომ გაიგოთ მოყვანილია თუ არა თაფლი. ცივწყლიან ჭიქაში ჩაუშვით რამდენიმე წვეთი და მაშინვე ამოიღეთ. თუ კარამელივით ხრაშუნა იქნება, თაფლი მოყვანილია. მოყვანილ თაფლში ნელნელა ჩაყარეთ ნიგოზი, მოხერხებულად და ენერგიულად აურიეთ (2-3 წუთის განმავლობაში), სწრაფად გადმოიღეთ წინასწარ მომზადებულ სველ ფიცარზე, თანაბრად გააბრტყელეთ და მაშინვე დაჭერით.

ა. ლეგანიძე

თუ სურვილი და საჭირო მასალა გექნებათ, შემოგთავაზებთ აღმოსავლური გოზინაყის მომზადების წესსაც, რისთვისაც საჭიროა: 9 კვერცხი. 1 კილო ერბო ან 1 1/2 ლიტრი ზეთი (უმჯობესია ზეითუნის). 2 ჩაის ჭიქა თაფლი. უმაღლესი ხარისხის ფქვილი. 2 ჩაის ჭიქა თხლად დაჭრილი კანგაცლილი ნიგოზი, ჭიქანახევარი შაქრის ფხვნილი. 1 ჩაის კოვზი კონიაკი ან არაყი. დანის წვერით მარილი და დანის წვერით სოდა.

ცხრა კვერცხს (ცილიან-გულიანად) დააყარეთ სოდა, მარილი, დაასხით კონიაკი, ათქვიფეთ ძალიან კარგად, შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ საშუალო სირბილის (გაბრტყელება რომ ადვილად შეიძლებოდეს) ცომი. გაყავით ოთხ ტოლ ნაწილად და თითოეული გააბრტყელეთ (ისე როგორც „ნაპოლეონის" ცომს აბრტყელებთ ხოლმე) ძალიან მონდომებით. გაბრტყელებული ცომი დაჭერით ორი სანტიმეტრის ან საჩვენებელი თითის სიბრტყეზე გრძლად, ზონარებივით. შემდეგ „ზონარები" დაჭერით პატარა ნაჭრებად (დაახლოებით „ბალიში" კანფეტების ზომაზე) და ჩაყარეთ ადუღებულ ერბოში. (ერბო მოათავსეთ ბრტყელძირიან განიერ ქვაბში და დადგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე. ცომი აიღეთ იმდენი, რომ ქვაბის ძირი დაიფაროს, ცომი დაიბერება და ოდნავ რომ შევარდისფერდება (არ გაყავისფერდეს), ამოიღეთ ქაფქირით, მოათავსეთ თასზე და განაგრძეთ დანარჩენი ცომის მოშუშვა. რომ მოამთავრებთ, შეუდექით თაფლის მოყვანას. (თაფლის მოყვანას აქ უფრო ნაკლები დრო სჭირდება).

ორი ჭიქა თაფლი მოათავსეთ ბრტყელძირიან ქვაბში, შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე და წამოადუღეთ (თან ურიეთ ხის კოვზით). თაფლი როგორც კი ოდნავ ფერს შეიცვლის, ჩაყარეთ შაქარი და კვლავ ურიეთ მის გადნობამდე. როგორც კი შაქარი გადნება, ჩაყარე ერთმანეთში არეული ნიგოზი და ცომის „კანფეტები", კვლავ კარგად აურიეთ ისე, რომ ყველაფერი ერთმანეთს შეუერთდეს. მიღებული მასა გაყავით ორად, სწრაფად გადმოიღეთ წინასწარ ცხიმწასმულ ორ ლანგარზე ან გაზქურის ტაფებზე, გააბრტყელეთ წყალში დასველებული ხელით და დაჭერით ისევე, როგორც ჩვეულებრივი გოზინაყი.

მ. კირტავა,
ქუთაისი.

# ტორტი „ჩიტის რძე"

მასალა ბისკვიტისათვის: 4 კვერცხი, 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 ჭიქა გაცრილი ფქვილი.

4 კვერცხი და შაქრის ფხვნილი ათქვიფეთ გათეთრებამდე (მოამზადეთ გოგლი-მოგლი), დააყარეთ ფქვილი, კარგად შეზილეთ, მოათავსეთ საცხობ ყალიბში და შედგით გაზქურაში ნაზ ცეცხლზე. ცხვება 30 წუთის განმავლობაში.

მასალა კრემისთვის: 40 გრამი ჟელატინი, 1 ჩაის ჭიქა რძე, 300 გრამი კარაქი, 10 კვერცხი, 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 სუფრის კოვზი ფქვილი.

ჟელატინი მოათავსეთ 150 გრამ თბილ წყალში და დატოვეთ ასე 30 წუთი.

10 კვერცხის გული და 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი ათქვიფეთ გათეთრებამდე, დაასხით ცივი რძე, აურიეთ, დააყარეთ 1 სუფრის კოვზი ფქვილი, კვლავ აურიეთ და ცომიანი თასი ჩადგით ცხელ წყლიან ჭურჭელში და ხის კოვზის მუდმივი მორევით მიიყვანეთ ადუღებამდე. ამ მასას გაცივების შემდეგ შეაზილეთ 300 გრამი შერბილებული კარაქი, მცირეოდენი ვანილი და მიღებული კრემი კარგად ათქვიფეთ; შემდეგ მიუბრუნდით დამბალ ჟელატინს. გაათბეთ, გაწურეთ მარლაში ან საცერში, შეაგრილეთ, 1 ჭიქა შაქართან ათქვეფილი 10 კვერცხის ცილა სწრაფად ჩაასხით ჟელატინში და გულდაგულ აურიეთ. მიღებული ცილის მასა და კრემი შეურიეთ ერთმანეთს.

მასალა ტორტის სარკალისათვის („გლაზური").

5 სუფრის კოვზი კაკაო, სამი სუფრის კოვზი რძე, ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 50 გრამი კარაქი თანდათან აურიეთ ერთმანეთში, შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე.

ბისკვიტი გაჭერით ორ ტოლ ნაწილად, წაუსვით კრემი, დაადეთ ზემოდან ბისკვიტის მეორე ნაწილი და ტორტის გვერდები და ზედა ნაწილი დაფარეთ სარკალით („გლაზურით").

ინდექსი 7
ეროვნული ბიბლიოთეკა
6 170/2

